ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 12 დეკემბერი, 2016 | №294 (7219) | ფასი: 50 თეთრი

## ქმარმა ყოფილი ცოლი მოკლა და თვითმკვლელობა ცადა



გვ.7

ტრაგედია წინანდალში

9 დეკემბრიდან

აირა ლევინი

როზმარის შვილი

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი




# „ქართული ოცნება რამდენიმე ნაწილად დაიშლება“



გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „გაზაფხულიდან ძალიან მძიმე პროცესები დაიწყება“



## მამუკა მდინარაძე: „საჩვენო“ კონსტიტუცია რომ გვდომოდა, მოქმედ რედაქციას არც შევეხებოდით“

„კონსტიტუციის ახალი რედაქცია ფართო კონსენსუსის შედეგი იქნება“

გვ.2

## რა მითითებები მისცა „თავისუფალ ზონას“ სააკაშვილმა



ფარნაოზ ჭკადუა: „ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარის არჩევა ივანიშვილის ინტერესებშია“

გვ.4

ISSN 1987-9385

## პატრიოტთა ალიანსი ნდობის ჯგუფში ირმა ინაშვილს წარადგენს

გვ.4





„თუ კრედიტები კაბალური პირობებით გაიცემა, მოსახლეობა მასობრივად წავა ემიგრაციაში“

## ანზორ აბრალავა: „ლარის კურსის ვარდნასთან ბანკების შესაძლო კავშირი გამოსაკვლევია“

გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მამუკა მდინარაძე: „საჩვენო“ კონსტიტუცია რომ გვდომოდა, მოქმედ რედაქციას არც შევეხებოდით“

ნათია ხურცილავა



## „კონსტიტუციის ახალი რედაქცია ფართო კონსენსუსის შედეგი იქნება“




პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი მამუკა მდინარაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

***– ბატონო მამუკა, პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ გადაწყვეტილება ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები არ გამართულა და ისინი ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. რას უპასუხებთ?***

– მე არ მინდა, იმავე ტონით ვუპასუხო პრეზიდენტის ადმინისტრაციას. პირიქით, ჩემს დიდ პატივისცემას ვადასტურებ პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ. რაც შეეხება საკითხს: საპარლამენტო ფორმატში უნდა შექმნილიყო ეს კომისია, ვინაიდან ამის პრეცედენტი უკვე არსებობდა. სამი წლის წინ, როდესაც შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და მის ხელმძღვანელად მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე დასახელდა, ამას მაშინ კითხვის ნიშნები არ მოჰყოლია.

***– შეგიძლიათ, არგუმენტები დაასახელოთ, რატომ არის ეს ფორმატი უპრიანი?***

– პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ აქვს. პარლამენტის წიაღში უნდა გაჩნდეს ასეთი ინიციატივა. სწორედ ამ არგუმენტების გათვალისწინებით ვარჩიეთ, რომ კომისიის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარე ყოფილიყო. შესაბამისად, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება.

***– „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის გადასინჯვა. რა დონეზე მოხდება მისი გადასინჯვა? პარლამენტის თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ ძირითადად აქცენტი ხელისუფლების დაბალანსების კუთხით გაკეთდება.***

– კონსტიტუციის სრულ გადასინჯვასა და მის ყველა ნორმაში ცვლილების შეტანას არავინ გეგმავს, თუმცა კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში არსებული გარკვეული დისბალანსი, გარკვეული საკონსტიტუციო ნორმები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ კონსტიტუციონალიზმის პრინციპების დაცვას და ევროპულ სტანდარტებს ვერ შეესაბამებიან, გადაიხედება და გაკეთილშობილდება.

***– კონკრეტულად?***

– ძალიან უხერხული იქნება ჩემგან, პირველი, როგორც იურისტისგან და მეორე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელისგან, დღეს, კომისიის შექმნიდან რამდენიმე საათში, კონკრეტულად დეტალებზე გესაუბროთ. კონსტიტუციის ახალი რედაქცია ფართო კონსენსუსის საგანი უნდა იყოს. შესაბამისად, წინასწარ შესაცვლელ ნორმებზე ვერაფერს გეტყვით. პირადად ჩემს აზრს, დამოკიდებულებას მხოლოდ მაშინ გავახმოვანებ, როდესაც კომისიის წევრი ვიქნები.

***– ვინ იქნება კომისიაში წარმოდგენილი, არის ამაზე შეთანხმება? იქნებიან თუ არა პრეზიდენტი, არასაპარლამენტო, საპარლამენტო ოპოზიცია, ექსპერტები. საზოგადოების რა წარმომადგენლობა იქნება კომისიაში?***

– უკვე არსებობს დებულება. წარმოდგენილი იქნება ყველა – პრეზიდენტის წარმომადგენლები, მთავრობის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია, სახელმწიფო აუდიტის წარმომადგენელი, ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, სახალხო დამცველი, არასამთავრობო სექტორი, ექსპერტები.

ექსპერტები იქნებიან საზოგადოების სხვადასხვა წრიდან, რომ საზოგადოების ყოველმხრივი ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი კომისიაში. შესაბამისად, კომისიის მუშაობამ და დადებულმა შედეგმა ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია უნდა მიიღოს.

***– ირაკლი კობახიძემ პირობა დადო, რომ ვენეციის კომისიის არცერთი შენიშვნა უგულებელყოფილი არ იქნება და კომისია მათ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს. რამდენად რეალურია ამ პირობის შესრულება?***

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ სავსებით რეალურია. ბატონი ირაკლი შემთხვევით არაფერს ამბობს. ეს არის გუნდის გადაწყვეტილება, რომელიც მან გაახმოვანა. ეს არის მისი პირადი პოზიციაც და ამ პოზიციის დაცვაში ჩვენც ძალიან ხისტები ვიქნებით, გამომდინარე იქიდან, რომ არ გვინდა, კონსტიტუციის ახალ რედაქციას ლეგიტიმაციის ოდნავი ხარისხიც კი დააკლდეს.

სამომავლოდ ამ დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების შტოებს შორის რეალური ბალანსი, თავის მხრივ კი ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი, ეკონომიკური განვითარების დონე და ა.შ. პიროვნებებზე არ იყოს დამოკიდებული.

***– ვენეციის კომისიის დასკვნა, ბუკიკოს რეკომენდაციები ხშირად უგულებელყოფილი იყო და ამიტომაც გკითხეთ.***

– თქვენ საუბრობთ 2009-2010 წლებზე. მაშინ დემოკრატიის პრინციპების უგულებელყოფა მხოლოდ ამ საკითხში რომ ყოფილიყო, რა გვიჭირდა. მაშინ ძალიან ბევრი დემოკრატიული პრინციპისა და ინსტიტუტის იგნორირება, საერთოდ დავიწყება მოხდა. ვცდილობთ, ამ წლებზე აღარ ვილაპარაკოთ. ჩვენ განსხვავებული მიდგომები გვაქვს და ამის მოწმე იქნება ჩვენი საზოგადოება.

***– ბატონო მამუკა, აპრილის ბოლო დასახელდა ვადად, როდესაც მზად უნდა იყოს პროექტი. ამან არაერთგვაროვანი პოზიციები გამოიწვია. თქვენი ოპონენტები კითხულობენ, რატომ მოხდა წინასწარ ვადის გაწერა.***

– სწორი მენეჯმენტია ნებისმიერი საქმის, როდესაც ის კონკრეტულ ვადებშია გაწერილი. ამიტომ დასახელდა კონკრეტული ვადა და არანაირი სხვა მოსაზრებით. ოთხი თვე სრულად საკმარისია, რომ ამდენმა ადამიანმა მოასწროს გარკვეული პროექტის დადება. ვერ წარმომიდგენია, კომისიაში იყვნენ ადამიანები, რომელთაც ამ საკითხებზეც საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ და არ უფიქრიათ. შესაბამისად, ეს არის სრულიად საკმარისი დრო, რათა მოხდეს გარკვეული მონახაზის ჩამოყალიბება.

***– და არ არსებობს არანაირი წინასწარი პროექტი, როგორც ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი ვარაუდობს?***

– რას ვარაუდობენ, რომ პროექტი უკვე არსებობს?! ჩვენ ჩვენს პოზიციებსაც კი არ ვაფიქსირებთ და ამ დროს... არადა, მოგატყუებთ, რომ გითხრათ, თითქოს ჩემი მოსაზრება არ მაქვს კონკრეტულ დეტალზეც კი, მაგრამ კომისიის წევრთა უმრავლესობა თუ საწინააღმდეგოს გადაწყვეტს, ცხადია, დავემორჩილები, ასევე დაემორჩილება ნებისმიერი ჩვენგანი, არჩილ თალაკვაძე, ირაკლი კობახიძე და სხვები, რომლებიც კომისიაში იქნებიან წარმოდგენილი.

კონსენსუსი სწორედ ის არის, როდესაც კომისიის უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას. კომისიაში კი უმრავლესობაში საზოგადოების წარმომადგენლები იქნებიან. შესაბამისად, ამ გზით მიღებული გადაწყვეტილება სამომავლოდ ჩვენს ქვეყანას უფრო გამოადგება სწორედ იმ ბალანსისა და დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, რისი მოლოდინიც გვაქვს ყველას ერთად.

„საჩვენო“ კონსტიტუცია რომ გვდომოდა, მოქმედ რედაქციას არც შევეხებოდით.

# აბაშიშვილი: „ჩვენ ვიღებთ ერთპარტიულ საკონსტიტუციო კომისიას“




საკონსტიტუციო კომისიის ფორმირებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა.

გიორგი აბაშიშვილმა მაღალი თანამდებობის პირებს ურჩია, განცხადებების გაკეთების დროს ტერმინები სწორად შეარჩიონ.

მისი თქმით, კომისიის ფორმირებასთან დაკავშირებით იყო არა კონსულტაციები და პოზიციების შეჯერება, არამედ პარლამენტის მხრიდან შეტყობინება.

აბაშიშვილი ამბობს, რომ მმართველმა გუნდმა კომისიის ფორმატთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება.

– კონსულტაციები ნიშნავს პოზიციების განხილვას, შეჯერებული კი ნიშნავს პოზიციების ჩამოყალიბებას. ის, რაც იყო პარლამენტის მხრიდან, იყო, უბრალოდ, შეტყობინება. სამწუხაროა, რომ ასე ხდება. ჩვენ მივიღეთ ერთპარტიული ინიცირება, ერთპარტიული კომისია. სამწუხაროა, რომ ეს გადაწყვეტილება ფორმატთან დაკავშირებითაც კი ერთპიროვნულად იქნა მიღებული, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

მისი თქმით, პრეზიდენტის ინიციატივაში მთავარი იყო ის, რომ საკონსტიტუციო კომისიას ჰქონოდა მაღალი ნდობა და ლეგიტიმაცია.

– ამას უზრუნველყოფდა სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტთან არსებული კომისია პრეზიდენტის, პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის თანათავმჯდომარეობითა და ვენეციის კომისიის ფართო ჩართულობით. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. სწორედ ეს უზრუნველყოფდა ფართო პოლიტიკური სპექტრის ჩართულობას, – აღნიშნა აბაშიშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტი არ არის არცერთი პარტიის წევრი და საქართველოში ეს იქნებოდა კარგი მესიჯი საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ ჩვენ გვინდა რეალური ცვლილებები და ეს არ ემყარება არცერთი პარტიის ინტერესებს.

– ჩვენ ვხედავთ, რომ ვიღებთ, ფაქტობრივად, ერთპარტიულ კომისიას. სამწუხაროა, რომ ეს გადაწყვეტილება ფორმატთან დაკავშირებითაც კი მოხდა ერთპიროვნულად. გამომდინარე ამ ტენდენციიდან, შიგნით რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

ჩაერთვება თუ არა პრეზიდენტის ადმინისტრაცია კომისიის მუშაობაში?

აბაშიშვილის თქმით, ისინი ჯერ პროცესს დააკვირდებიან.

– არ არის კარგი, როცა ამ კომისიის მაგალითად მოგვყავს ის, რომ ეს კომისია იქნება ისეთი, როგორიც იყო წინა. დავაკვირდებით და ამის შემდეგ გადავდგამთ ნაბიჯებს, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

**ნიუპოსტი**

# წელს ზამთარი ექსტრემალურად ცივი არ იქნება



ბოლო დღეები დაბალი ტემპერატურით გამოირჩეოდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 9 დეკემბრის ღამით თითქმის მთელ საქართველოში (მხოლოდ ფოთსა და ზღვისპირეთში იყო 0) უარყოფითი ტემპერატურა იყო, მინიმალური მაჩვენებელი აღინიშნა ახალქალაქში (-21 გრადუსი), ჯვრის უღელტეხილზე -20, ბაკურიანში -19, კობში -16, მესტიაში -15, შოვში -14, წალკაში -13.

რით არის ცივი ამინდები განპირობებული?

გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რამაზ ჭითანავას, განმარტებით, ბოლო 10 დღის ცივი ამინდი ატლანტიკის ოკეანიდან შემოჭრილი ციკლონით არის განპირობებული.

ბევრგან, განსაკუთრებით მაღალ მთაში აღინიშნება დაბალი ტემპერატურა, ნალექები. ზოგან უკვე თოვლის მდგრადი საფარიც არის.

მაღალმთიან რეგიონებში და სამთო კურორტებზე უმეტესად თოვლია: ხულოსა და მთა საბუეთზე 122 სმ.-ია, შოვში 74 სმ, გუდაურში 73 სმ, ბაკურიანში – 53 სმ.

რამაზ ჭითანავას განმარტებით, დეკემბრის ბოლომდე სხვადასხვა ინტენსივობით მსგავსი ამინდები გაგრძელდება. წლის ბოლომდე ასევე მოსალოდნელია ქარბუქი სხვადასხვა რეგიონში და ზვავსაშიშროებაც. ამიტომ მათი სამსახური მუდმივად აფრთხილებს გზების დეპარტამენტს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

რაც შეეხება ზოგადად ზამთარს, ჭითანავას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიანი პროგნოზები ემყარება მსოფლიო მასშტაბის სინოპტიკური ცენტრების პროგნოზებს, დიდი წინსწრებით პროგნოზის გაკეთება რთულია და ამ ტიპის პროგნოზების გამართლების ალბათობა ძალიან მაღალი არ არის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, იაპონიაში, აშშ-სა თუ სხვა ქვეყნებშიც.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ რთული და მეტად ექსტრემალური ზამთარი გველის. კი, ზამთრის პერიოდში მოსალოდნელია არქტიკული მასების გააქტიურება, თუმცა სამხრეთიდანაც ასევე წამოვა თბილი ჰაერის მასები. ამიტომ, ჩვენს რეგიონში ძალიან ექსტრემალურ ზამთარს არც უნდა ველოდოთ, საშუალო წლიურ ტემპერატურაზე 1 გრადუსით მეტიც იქნება, – ამბობს ჭითანავა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ რამდენიმე ნაწილად დაიშლება“

## ზაალ კასრელიშვილი: „გაზაფხულიდან ძალიან მძიმე პროცესები დაიწყება“

შორენა მარსაგიშვილი

რას უნდა ველოდოთ გაზაფხულზე, რატომ ჩაკვდა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, რამდენი პარტია შეიქმნება „ქართული ოცნების“ ბაზაზე, რა ელოდება ნაციონალურ მოძრაობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ყოველთვის ვიღაცის ინტერესებს წარმოადგენდნენ. ეს ვიღაცები არიან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. იქიდან გამომდინარე, თუ რა თემა იყო აქტუალური არჩევნების წინ, პარტიები ამის მიხედვით იღებდნენ კონკრეტულ მითითებებს. ამ თემებით ისინი მოდიოდნენ ხელისუფლებაში, ზოგი უმრავლესობა ხდებოდა, ზოგი – უმცირესობა, ზოგიც სავაჭროდ მოდიოდა. დღეს ასეთი დაკვეთები გარედან აღარც პარტიებს მოსდით და აღარც – არასამთავრობოებს.

***– რატომ აღარ მოსდით შეკვეთები, დამკვეთების მოთხოვნები დაკმაყოფილდა თუ რაიმე სხვა მიზეზია?***

– შეკვეთები იმიტომ აღარ მოსდით, რომ შიგნითაც და გარეთაც ყველამ დაინახა, საქართველოში რეალურად მხოლოდ 2 პარტია არსებობს. ზედმეტი ფულის გადაყრა არავის უნდა. საპარლამენტო არჩევნებამდეც ნათელი იყო, რომ ჩვენთან რუსეთი და დასავლეთი იაქტიურებდნენ. ქვეყნის გარეთ მყოფ ინტერესჯგუფებს თუ რაიმე მიზნები აქვთ, მათ თავიანთი ხალხი ან „ოცნებაში“ უნდა ჩანერგონ, ან – ნაციონალებში.

ქვეყანა ამ ორი ძალის ამარაა დარჩენილი. ისინი ერთმანეთს ძალიან ულიმლამოდ ეპაექრებიან. მათი პაექრობა არაფრისმომცემი პოლიტიკური იწილობიწილოა.

***– თქვით, ყველამ დაინახა, რომ ქვეყანაში რეალური ძალა მხოლოდ ნაცმოძრაობა და „ოცნებააო“, თუმცა ქვეყანაში მოსახლეობის 60% არცერთ მათგანს არ უჭერს მხარს. თქვენც არაერთხელ გითქვამთ, რომ ადრე თუ გვიან ეროვნული ძალის შექმნაზე იქნება მოთხოვნა. ახლა ასე აღარ ფიქრობთ?***

– ახლაც ამავე აზრზე ვართ. ეს მოთხოვნა ხალხში უკვე დიდი ხანია გაჩენილია. კარი ატალახებული გვაქვს და ხან ვინ გვთხოვს გვერდით დადგომას, ხან ვინ. ჩვენ ამ ეტაპზე გაერთიანებას არავისთან ვაპირებთ, იმიტომ რომ ეროვნულ ძალას ვერსად ვხედავთ. ამის გარდა, ვერც პერსპექტივას ვხედავთ. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მოსახლეობის წინაშე პატრიოტული და მარადიული ღირებულებების იდეოლოგიით გამოხვიდე.

***– რატომ არის შეუძლებელი? თავად არ ამბობთ, ეროვნული ძალის შექმნაზე ხალხში დიდი მოთხოვნილებააო?***

– მოთხოვნილება მომავალშიც იქნება, მაგრამ დღეს მოსახლეობის პირველი პრობლემა კუჭის ამოვსებაა.

***– 10 დეკემბერს გამართული აქციით თუ ვიმსჯელებთ, ამ დაქცეული ქვეყნის მთავარი პრობლემა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია ყოფილა.***






– ეს ხელოვნურად აგორებული და შეკვეთილი თემაა. ეს თემა იმ ორგანიზაციამ ააგორა, რომელსაც უსაქმურობისგან სული სძვრება. აბა გავიხსენოთ, ცოტა ხნის წინ საქართველოში როგორი აქტიური იყო ლგბტ პირების დაცვის თემა. ამ თემაზე თითქმის აღარავინ საუბრობს საქართველოში. მალე მთელ მსოფლიოშიც ასე იქნება.

ამ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეებს მინდა ვურჩიო, რომ განცხადებების გაკეთებისას დასავლური გამოცდილებაც გაიზიარონ. იქ როცა ასეთი პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე საუბრობენ, პარალელურად ნარკოტიკების მავნებლობაზეც მიდის ლაპარაკი. აქ ეს საუბრები ცალმხრივია და ისიც კარგად იციან, რომ არავინ ამის ლეგალიზაციას არ მოახდენს.

დეკრიმინალიზაციას რაც შეეხება, მას აქვს თავისი შემადგენელი ნაწილი. ის რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. იმ ქვეყნებში, სადაც მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია მოხდა, ყველგან არის ნარკოდამოკიდებულთა ნებაყოფლობითი და იძულებითი განკურნების დაწესებულებები. ზოგ მათგანში ნარკომანები თავიანთი ნებით მიდიან, ზოგან – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ეს ძალიან სერიოზული თემაა და ის რამდენიმე ათეული „ქეშის“ გადასაწყვეტი არ არის. ეს ადამიანები გამოვიდნენ და თქვეს, ჩვენ პლანს ვეწევით და ნუ დაგვიჭერთო. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა.

***– ეს მოთხოვნა, შესაძლოა, სასაცილოა, მაგრამ იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია, რომლის მოქალაქეებსაც ყოველდღე იტაცებენ ოკუპანტები, ასეთ თემაზე რომ აქცია იმართება, მგონი, არ არის სასაცილო.***

– მე მაინც მგონია, რომ ეს არ იყო სერიოზული აქცია. ამ აქციას ნარკომანებიც კი არ შეუერთდნენ. ნარკომანები რამდენიმე კატეგორიად იყოფიან. ერთი ნაწილი მეტადონის პროგრამაშია ჩართული, მეორე ნაწილი არასდროს გამოვა ქუჩაში და არ მოითხოვს, წამალს ვიკეთებ და ამის გამო არ დამიჭიროოო. ნარკომანების მესამე კატეგორიას კონკრეტული ადამიანები ან მათი შვილები წარმოადგენენ. ისინი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან. მათ ხალხში ჩუმ მოკაიფებს ეძახიან და მათ ამ ამბის გახმაურება ხელს არ აძლევთ.

სხვა დანარჩენი, ვინც ამ თემაზე საუბრობს, არის პოპულისტი. ისინი ამ წივილ-კივილით ცდილობენ ყურადღების მიქცევას. ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს ხალხი რაიმე ძალას წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, ამ თემას საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას.

***– მოდით, ისევ პოლიტიკურ პარტიებს დავუბრუნდეთ. ზემოთ ნაციონალებსა და „ოცნებაზე“ თქვით, რომ რეალური მხოლოდ ეს ორი ძალაა. ისიც თქვით, რომ ამ ეტაპზე პატრიოტული იდეოლოგიის პარტიას პერსპექტივა არ აქვს. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ქვეყანა ორპარტიულ სისტემაზე გადავა?***

– არა, საქართველო არასდროს დარჩება ორი პარტიის ამარა. დღეს, მართალია, ქვეყანაში რეალურად მხოლოდ ორი პარტიაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს ორპარტიულობაც ძალიან პირობითი ცნებაა. ამ ორი პარტიიდან თავისუფლად შეიძლება მივიღოთ რამდენიმე ფრაქცია და პარტია.

არც ნაციონალური მოძრაობა და არც „ქართული ოცნება“ არ არიან ერთი იდეოლოგიის მატარებლები. მათ არც ერთიანი მიზანი ამოძრავებთ. მე მათ ინტერესჯგუფების გაერთიანებებს დავარქმევდი.

***– თქვენი აზრით, რამდენი ახალი პარტია შეიძლება შვან ნაცმოძრაობამ და „ოცნებამ“?***

– ნაციონალური მოძრაობა აუცილებლად გაიყოფა ორ ნაწილად. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, ის უფრო ნაყოფიერი იქნება და მის წიაღში რამდენიმე პარტია შეიქმნება, რასაც აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება.

***– რა გაგრძელება?***

– არასაპარლამენტო ოპოზიცია ან გაძლიერდება, ან მოხდება მისი ნაწილის გაერთიანება. როდესაც პარლამენტში ფრაქცია იქმნება, უკვე ძალიან იოლია მის გარშემო ახალი პარტიის შექმნა.

ასე რომ, ჩვენ „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის დანაწევრებას ველოდებით და იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ არცერთი ახლადგამოჩეკილი ძალა ეროვნული იდეოლოგიის მატარებელი არ იქნება. ისიც იცოდეთ, რომ დღეს არსებული პოლიტიკური ნედლეულიდან ეროვნული იდეოლოგიის პარტია არ გაკეთდება.

***– აბა, ვისგან უნდა შეიქმნას ასეთი ძალა?***

– არაფორმალურად საქართველოში ასეთი ძალა უკვე არსებობს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, გაუჩნდებათ თუ არა მათ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი.

***– თქვენ რას ფიქრობთ, გაუჩნდება ამ ხალხს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის სურვილი?***

– პროცესები ისე მიდის, რომ ეს ხალხი, შესაძლოა, ძალიან მალე გამოვიდეს ასპარეზზე.

***– თვითმმართველობის არჩევნებისთვის თუ გამოჩნდებიან?***

– შესაძლოა, ძალიან მალე გამოჩნდნენ. პროცესები ისე მიდის, რომ ახალი ძალა, სავარაუდოდ, 2017 წლის გაზაფხულზე გამოჩნდება. არაერთხელ მითქვამს, რომ მომავალი წლის გაზაფხული ძალიან მძიმე იქნება. ახლაც იმავეს გავიმეორებ და დავამატებ, რომ უმძიმესი 4 წელი გველოდება როგორც სოციალურად, ასევე პოლიტიკურად.

ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება მოლაპარაკებები რუსეთსა და ამერიკას შორის. ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ტრამპი და პუტინი ვერაფერზე მოილაპარაკებენ, რასაც მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მოჰყვება და მაშინ კი მართლა ძალიან ცუდად იქნება ჩვენი საქმე.

# გია ნოდია: „ემოციას, რომელსაც ნაცმოძრაობაზე ივანიშვილი იყენებდა, დღეს მიშა იყენებს“

– არ უნდა ავყვეთ ზედაპირული შედარებების ცთუნებას: რომ მიშა დონალდ ტრამპს ჰგავს ან მარი ლე პენს, ან ჯერემი კორბინს, ან ჰუგო ჩავესს, ან კიდევ ვინმეს. ამაში არ არის საქმე: ლიდერები იყენებენ იმ მეთოდებს, რომლებიც ხალხს იზიდავს.

მთავარია, რომ ძირეული ემოციაა იგივე: ბევრ ადამიანს (რომელიც თავს უწოდებს „უბრალო ხალხს“, ან, ამ შემთხვევაში, პარტიის „რიგით მომხრეს“) უჩნდება განცდა, რომ გარკვეული ელიტური ჯგუფები მას ქედმაღლურად უყურებენ და თავის შიგნით რაღაცებს აკვარახჭინებენ ისე, რომ მათ არ ეკითხებიან, – წერს პოლიტოლოგი გია ნოდია ფეისბუქში ნაცმოძრაობაში მიმდინარე მოვლენებზე.

– ის, რაც ხდება ნაციონალურ მოძრაობაში, გლობალური პროცესის ან გლობალური სულისკვეთების (ძეიტგეისტ) ნაწილად უნდა დავინახოთ. ეს არის პოპულისტური ჯანყი ელიტების წინააღმდეგ, არსებითად იგივე, რამაც ტრამპს მოაგებინა არჩევნები, ან როგორიცაა პოპულისტური მოძრაობები ევროპაში, – ამბობს გია ნოდია.

მისი აზრით, ყველაფერი მოედანსა და სტადიონზე ვერ გადაწყდება. მთავარია, რომ ადამიანებში ეს განწყობა დომინანტური ხდება.

– ამის შემდეგ კი ლოგიკა ითიშება და რაციონალურ დისკუსიებს მნიშვნელობა აღარ აქვს: ადამიანები ხედავენ მხოლოდ საზიზღარ „ელიტას“ ან „სვეტებს“, ან ვიღაცას, ვინც გულში დასცინის და ცდილობს, რაღაცა მოატყუოს, – წერს პოლიტოლოგი.

მისი თქმით, საქართველოში ეს ემოცია თავის დროზე მთლიანად „ნაციონალური“ მთავრობის მიმართ გაჩნდა და მას პატარკაციშვილი თუ ივანიშვილი იყენებდნენ.

– დღეს ის თვით ნაცმოძრაობის შიგნითაა და მას მიშა იყენებს პარტიაზე კონტროლის დასაბრუნებლად, მაგრამ, ვიმეორებ, ემოციის ბუნება იგივეა, კონკრეტულად ვინაა მისი გამხმოვანებელი, მეორეხარისხოვანია, – აღნიშნავს ნოდია.



**აიპრესი**

# შალვა ნათელაშვილი: „ყველა მილიარდერმა „გადარჩენის ფონდში“ ქონების 10% უნდა შეიტანოს“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე პასუხისმგებლობას ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს აკისრებს.

როგორც შალვა ნათელაშვილი ამბობს, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია „გადარჩენის ფონდის“ შექმნა, სადაც ყველა მილიარდერმა, მილიონერმა თავისი ქონების 10% უნდა შეიტანოს.

**შალვა ნათელაშვილი:**

– ქვეყნის ისტორიაში ეროვნული ვალუტის არნახულ კატასტროფაზე, სოციალურ-ეკონომიკურ აფეთქებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ რეჟიმის მეთაურს, უზურპატორ ივანიშვილსა და მის მილიონერთა დაჯგუფებას, რომლებმაც მიიტაცეს მთელი ეროვნული სიმდიდრე და გაზიდეს უცხოეთში სახელმწიფო სავალუტო რესურსები.

ერთადერთი გამოსავალი უმძიმესი კრიზისიდან „გადარჩენის ფონდის“ შექმნაა, სადაც ასეულობით მილიარდერ-მილიონერი შეიტანს თავისი ქონების 10 პროცენტს, რითაც გამყარდება ლარი და გაეწევა ხალხს გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური დახმარება.



წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებულ ქაოსს მთელი ხელისუფლებაც შეეწირება.

**აიპრესი**

# კვირიკაშვილი: „იმ ქვეყნების გვერდში ვდგავართ, რომლებიც ტერორიზმს ებრძვიან“



თურქეთში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განცხადებას ავრცელებს და მომხდარის გამო უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამ უდიდეს ბოროტებასთან გამკლავება მხოლოდ ერთობლივი ძალებით არის შესაძლებელი.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– უკიდურეს აღშფოთებას გამოვთქვამ სტამბოლში მომხდარი ტერაქტის გამო, რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანი ემსხვერპლა. ვუსამძიმრებ დაღუპულების ოჯახებსა და ახლობლებს, თურქ ხალხსა და ხელისუფლებას.

კატეგორიულად ვგმობ ყოველგვარ ძალადობას, რომელსაც მშვიდობიანი ადამიანების სიცოცხლე ეწირება და მათ დაშინებას ისახავს მიზნად.

ჩვენ ვდგავართ იმ ქვეყნების გვერდში, რომლებსაც დაუნდობელი ბრძოლა აქვთ გამოცხადებული ტერორისტების მიმართ. ვუერთდებით მათ ძალისხმევას და გვჯერა, რომ ამ უდიდეს ბოროტებასთან გამკლავებას მხოლოდ ერთობლივი ძალებით შევძლებთ.

**20/30 ნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რა მითითებები მისცა „თავისუფალ ზონას“ სააკაშვილმა

## ფარნაოზ ჭკადუა: „ნაცმოძრაობის ახალი თავმჯდომარის არჩევა ივანიშვილის ინტერესებშია“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა 20 იანვრის ყრილობისთვის ემზადება.
ამ სამზადისში აქტიურად მონაწილეობს „თავისუფალი ზონა“, რომელიც პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციად ითვლება. ახალგაზრდები, ნაცმოძრაობის ნაწილის მსგავსად, ფიქრობენ, რომ პარტიის თავმჯდომარის პოსტი მანამდე უნდა დარჩეს ვაკანტური, სანამ სააკაშვილი პოლიტიკურ დევნილობაშია.



გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა „თავისუფალი ზონის“ წევრების დახმარებით აპირებს იმ ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევას ითხოვენ, ახალი თავმჯდომარის არჩევა კი პარლამენტში მოხვედრილ ნაციონალებს სურთ.

„თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი ფარნაოზ ჭკადუა „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ ყოფილ პრეზიდენტთან და მისგან სრული მხარდაჭერაც მიიღეს.

– 11 დეკემბერს გაიმართა „თავისუფალი ზონის“ ყრილობა. ყრილობაზე უკრაინიდან ჩაგვერთო მიხეილ სააკაშვილი. მან სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა. თავის მხრივ, „თავისუფალი ზონაც“ სრულ მხარდაჭერას უცხადებს მას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პარტიას მხოლოდ მისი წინამძღოლობით შეუძლია ივანიშვილის დამარცხება. ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში ფარნაოზ ჭკადუა.

ივანიშვილის წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ ძალად მიიჩნევს „თავისუფალ ზონას“ მიხეილ სააკაშვილი. სკაიპით ჩართვისას მან ზონელებს უთხრა, რომ ბიძინა ივანიშვილს მათი ეშინია.

– ძალიან მადლობელი ვარ თქვენი, თითოეულის... „თავისუფალი ზონა“ არის ორგანიზაცია, რომელმაც რეალურად მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას კი არა, არამედ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანს ბოლო 4 წელი გადაატანინა.

თქვენთან იდეალით გულანთებული ხალხი მოვიდა... ის, რომ ათასგვარი ჩანერგვისა და პროვოკაციის მიზანი თქვენ იყავით, იმაზე მეტყველებს, რომ ივანიშვილს თქვენი ყველაზე მეტად ეშინოდა. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ რასაც თქვენ აკეთებდით და ამბობდით, მართალი აღმოჩნდა, – მიმართა ზონელებს ყოფილმა პრეზიდენტმა.

როგორც ფარნაოზ ჭკადუამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ზონელები უფრო უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ შიდაპარტიულ საქმიანობაში.

– მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენ პარტიის შიგნით კიდევ უფრო აქტიურები ვიყოთ. ეს ასეც იქნება. ახლა ყველანი პარტიის ყრილობისთვის ვემზადებით, – ამბობს „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი ლიდერი.

მართალია, ზონელები აქტიურობას გეგმავენ, მაგრამ ეს აქტიურობა ნაცმოძრაობის მეორე ფრთის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული.

– ჩვენ არანაირი დავალება არ მიგვიღია, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრების წინააღმდეგ მოვაწყოთ რამე. პარტიის ერთ ნაწილს აქვს თავისი აზრი და მათ აზრის გამოთქმას ვერ ავუკრძალავთ. ყველაფერი 20 იანვარს გადაწყდება. ჩვენ ვიბრძვით ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომლის უშუალო მოთხოვნითაც ჩამოართვეს სააკაშვილს მოქალაქეობა. ახლა რუსი ოლიგარქი ცდილობს, რომ ის ნაციონალურ მოძრაობასაც ჩამოაშოროს. „თავისუფალი ზონა“ ამას არ დაუშვებს, – აღნიშნავს ჭკადუა.

მისი განცხადებით, ასეთივე პოზიცია აქვს პარტიის წევრების დიდ ნაწილს, რომლებიც, „თავისუფალი ზონის“ მსგავსად, ყრილობისთვის ემზადებიან.

რეგიონებში პარტიულ აქტივთან ყოველდღიურად იმართება შეხვედრები. სკაიპის მეშვეობით მათ სააკაშვილიც ესაუბრება.

– ჩვენ ყველას აზრს პატივს ვცემთ, მაგრამ პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევა არ უნდა მოხდეს, – ამბობს „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელი.

# პატრიოტთა ალიანსი ნდობის ჯგუფში ირმა ინაშვილს წარადგენს

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს ნდობის ჯგუფის სხდომის მოწვევა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს. ამასთან დაკავშირებით ის დღეს, 12 დეკემბერს, საგანგებო განცხადებას გააკეთებს და პოლიტიკურ სუბიექტებს კანდიდატურების წარდგენას მოსთხოვს.

ნდობის ჯგუფი 5 წევრისგან შედგება და მათ ხელი საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებათ. რამდენიმე კვირის წინ პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი გამოვიდა ინიციატივით, რომ ნდობის ჯგუფის წევრობის კანდიდატები უსაფრთხოების სამსახურმა შეამოწმოს.

როგორც ირაკლი სესიაშვილმა მედიასთან საუბარში განმარტა, ამ დროისთვის მისთვისაც კი არ არის ცნობილი, თუ ვის წარადგენენ ამ ჯგუფში უმრავლესობა და მაჟორიტარები.

კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ წარსადგენ კანდიდატურებზე საპარლამენტო უმრავლესობაში კონსულტაციები ამ დღეებში გაიმართება.

– ჩვენ ვცდილობთ, ორი ფაქტორი გავითვალისწინოთ – ერთი, ეს არის მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ასევე – პროფესიონალიზმი. ამ პრინციპების გათვალისწინებით, უმრავლესობაში ვიმსჯელებთ, ვინ შეიძლება შევიდეს ნდობის ჯგუფში, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბარში სესიაშვილმა.



მეოცნებეებისგან განსხვავებით, ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს ოპოზიციას. ნაციონალები ამ ჯგუფში ირაკლი აბესაძეს წარადგენენ, პატრიოტთა ალიანსმა კი გადაწყვეტილება შეცვალა. თავიდან ემზარ კვიციანის კანდიდატურა განიხილებოდა, ახლა კი არჩევანი ირმა ინაშვილზე შეაჩერეს. ეს ინფორმაცია „ახალ თაობასთან“ საუბარში ემზარ კვიციანმაც დაადასტურა.

ნდობის ჯგუფის ფორმირების გარდა, სესიაშვილს კიდევ ერთი მოადგილის არჩევა სჭირდება. ამ არჩევანს, შესაძლოა, „ქართულ ოცნებაში“ უთანხმოება მოჰყვეს, რადგან კომიტეტის წევრების ნაწილი უარზეა, ნაციონალების კანდიდატს დაუჭიროს მხარი.

ირაკლი სესიაშვილის განმარტებით კი, უნდათ თუ არა, მათ მაინც მოუწევთ ნაციონალის არჩევა. ამას ის მიღწეული შეთანხმებით ხსნის.

– ოპოზიციის კვოტით კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის ფორმულა იმაში მდგომარეობდა, რომ რა ოდენობითაც არის პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი წარმოდგენილი, იმ თანაფარდობით მომხდარიყო მოადგილის თანამდებობების დაკავება.

შესაბამისად, პატრიოტთა ალიანსს ეკუთვნოდა კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილის 3, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას – 12 ადგილი. ეს იყო პროპორციულობის პრინციპით მიდგომა. ამის შესახებ ორივე პოლიტიკურმა ჯგუფმა იცოდა. მეტიც, წინასწარ გადანაწილებული იყო, რომელ კომიტეტში რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი დაიკავებდა მოადგილის პოსტს, – აღნიშნა სესიაშვილმა.

ამ შეთანხმების მიუხედავად, ირაკლი აბესაძისთვის მხარის დაჭერაზე რამდენიმე დეპუტატი უარს ამბობს. სიტუაციის დაძაბვის თავიდან აცილების მიზნით „ოცნებამ“ ალიანსს კანდიდატურის მოხსნა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის საკითხი დღის წესრიგში აღარ დამდგარა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაჯიუტებული მეოცნებეების გადმობირება ვერ მოხერხდა.

პირველ ცდაზე აბესაძეს ერთი ხმა დააკლდა. ირაკლი სესიაშვილი საკითხის მოგვარებას ნაციონალებს ავალებს და ამბობს, რომ თუ ისინი სრულად დაესწრებიან კომიტეტის სხდომას, საკითხი მათ სასარგებლოდ გადაწყდება.

# უჩა ნანუაშვილი: „2016 წელს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები პრობლემური იყო“

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ოფისმა საინფორმაციო აქცია „აიმაღლე ხმა სხვისი უფლებებისთვის“ გამართა.

აქციის ფარგლებში უჩა ნანუაშვილმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, მეტრო „რუსთაველთან“, მოსახლეობას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა და ესაუბრა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

მანამდე უჩა ნანუაშვილმა ადამიანის უფლებების კუთხით 2016 წელს არსებული ანგარიში წარადგინა.

როგორც სახალხო დამცველმა პრეზენტაციის ფარგლებში მედიას განუცხადა, 2016 წელს რიგი პრობლემები რჩებოდა, თუმცა განსაკუთრებით პრობლემური ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები იყო.

– პრობლემები და გამოწვევები კვლავ არსებობდა. ძირითადად, ეფექტური გამოძიების კუთხით, აქ საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე. სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა.



პრობლემები კვლავ რჩებოდა, ზოგადად, უმცირესობების კუთხით. განსაკუთრებით პრობლემური იყო ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები. ასევე ამ წელს იყო საკმაოდ პრობლემური, როგორც მკვლელობებისა და ფემიციდის გამოვლინებები, ასევე ზოგადად ძალადობის კუთხით არსებული პრობლემები, – აღნიშნა სახალხო დამცველმა.

**მედიანიუსი**

# ლევან იზორიამ გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი მიიღო

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი. რალფ ბრაუსკიპეს ვიზიტი საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან შეხვედრით დაიწყო.

ლევან იზორიამ სტუმარს გერმანიის პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ვიზიტი საქართველოსა და გერმანიას შორის წარმატებული თანამშრომლობისა და მეგობრობის დასტურია.

ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში ქართველი და გერმანელი სამხედროების ერთობლივი მონაწილეობა შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო. როგორც ლევან იზორიამ განაცხადა, მისთვის საამაყოა ქართველი სამხედროების წვლილი ავღანეთში მიმდინარე მისიაში საერთაშორისო კოალიციური ძალების მხარდამხარ, რაც ქართული კონტინგენტის ნატოს ძალებთან თავსებადობას უწყობს ხელს.

გერმანულმა მხარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ქართველი მშვიდობისმყოფელების პროფესიონალიზმი და მათი კონტრიბუცია გლობალური უსაფრთხოების საქმეში.

საუბარი შეეხო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს



მისწრაფებას.

როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე ქვეყანა დემოკრატიული რეფორმების გატარებას განაგრძობს.

მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესიც განიხილეს.

თავდაცვის მინისტრმა რალფ ბრაუსკიპეს პაკეტის განხორციელების პროცესში გერმანიის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. აღინიშნა, რომ მაპის წარმატებით იმპლემენტაციის პროცესის შესანიშნავი მაგალითებია ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრისა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროექტები.

ყურადღება გამახვილდა ასევე ნოემბერში გამართულ ნატო-საქართველოს სწავლებაზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს, ალიანსის მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებს მსგავსი სახის სწავლებებისა და გადასროლისწინა წვრთნებისთვის ინფრასტრუქტურა შესთავაზოს.

ლევან იზორიამ გერმანელ სტუმრებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს საპარლამენტო მდივანთან შეხვედრას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია და გერმანიის ატაშე, ვიცეპოლკოვნიკი ფრანციოსეფ ნოლტე დაესწრნენ.

**20/30 ნიუსი**

# რუსული „კომერსანტი“: უვიზო რეჟიმმა „შეჩერება“ გაიარა. რას ფიქრობენ კიევი და თბილისი?

**ევროპარლამენტმა უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის მიღებით საქართველოსა და უკრაინასთან ვიზების გაუქმების გზაზე ბოლო სერიოზული დაბრკოლება გადალახა, რის შედეგადაც, ალბათ, ევროპელი კრიტიკოსებიც დაწყნარდებიან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც მიგრანტების მოზღვავებისაგან დაცული იქნებიან.**

სწორედ შეჩერების მექანიზმის არარსებობა იყო ბოლო პრობლემა საქართველოსთან და უკრაინასთან ვიზების გაუქმების საკითხში. ახლა თითქოს ეს დამაბრკოლებელი ფაქტორი მოგვარდა, თუმცა, მაინც უცნობია, მოასწრებს თუ არა ევროკავშირი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ახალ წლამდე – აუცილებელია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს ფორმალური დადგენილება.

როგორც „კომერსანტის“ მიერ გამოკითხული უკრაინელი ექსპერტები აცხადებენ, უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხი პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება.

რას ითვალისწინებს ყბადაღებული „შეჩერების მექანიზმი“?

ეს ნიშნავს იმას, რომ როგორც თვით ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ისე ევროკომისია ყურადღებით დააკვირდებიან იმ ქვეყნებში არსებულ სიტუაციას, რომლებიც უვიზო რეჟიმით ისარგებლებენ, თუ როგორ ასრულებენ ისინი აღებულ ვალდებულებებს.






თუ ევროკომისია საჭიროდ ჩათვლის უკვე შემოღებული უვიზო რეჟიმის გაუქმებას, ეს მოხდება ან მისი მოხსენების, ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართვის საფუძველზე.

ამის შემდეგ კონკრეტული ქვეყნის მიმართ კვლავ ვიზის რეჟიმი დაბრუნდება – ჯერ 9 თვით, შემდეგ კი, თუ საჭირო გახდა, შესაძლო გაგრძელებით. აი, ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს ევროკავშირის ქვეყნებმა „შეჩერების მექანიზმის“ კანონპროექტზე, 7 დეკემბერს, რომელიც ევროპარლამენტმა უნდა განიხილოს და კანონად მიიღოს.

– ამ კანონპროექტის შესახებ მიღწეული შეთანხმება ხელს შეუწყობს ვიზალიბერალიზების საკითხის მოგვარებას საქართველოსა და უკრაინისათვის, – განაცხადა ესპანელმა ევროდეპუტატმა აგუსტინ დიასდემერამ.

თავის მხრივ, ევროკავშირის მიგრაციისა და მოქალაქეობის საკითხთა კომისარმა დიმიტრის აბრამოპულოსმა ევროკომისიას მოუწოდა, რომ აღარ გააჭიანურონ ამ ქვეყნებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხის გადაჭრა.

ევროპარლამენტში „შეჩერების მექანიზმის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა და შემდგომი კენჭისყრა შეიძლება მომავალ კვირაში გაიმართოს. ამის შემდეგ კანონი ევროკავშირის ყველა წევრის ქვეყნის მთავრობებმა უნდა დაამტკიცონ, რის შემდეგაც საქართველოსა და უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის შემოღების პროცესი თავის ფინიშს მიუახლოვდება.

როგორც ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ამ საკითხის გადაწყვეტა წლის ბოლომდე შეუძლიათ.

◆ ◆ ◆

ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ უკრაინელი პოლიტიკოსები „უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის“ მიღებასა და მის ფონზე წარმოთქმულ დამაიმედებელ განცხადებებს ცოტა ურწმუნოდ შეხვდნენ.

ისინი არ გამორიცხავენ, რომ კიდევ რაღაც ბარიერი და დაბრკოლება გაჩნდეს.

– აბა, ახლა ვნახოთ, რას იზამს ევროპა, უკრაინის მხარეზე ბრიუსელი მხოლოდ სიტყვითაა თუ საქმით?, – თქვა „კომერსანტთან“ საუბარში ერთ-ერთმა წყარომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

– ევროკავშირის მიერ უვიზო რეჟიმის შემოღებისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როცა მის წინააღმდეგ ზეწოლა გაძლიერდა, – ამბობს კიევში არსებული გლობალური სტრატეგიის ინსტიტუტის დირექტორი ვადიმ კარასევი, – ბრიუსელიდან მიღებული კარგი შეტყობინება დროებით მაინც გააუმჯობესებს იმ განწყობას და აპათიას საზოგადოებაში, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება.

თბილისში კი ბრიუსელის გადაწყვეტილებას დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

– ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ევროპული ინსტიტუტები საქართველოს კვლავ მხარს უჭერენ. რთული პერიოდის მიუხედავად, მათ კონსენსუსის მიღწევა მაინც შეძლეს, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კი ტვიტერში ჩაწერა, რომ ქართველი ხალხი საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდება და ბედნიერია იმით, რომ ევროკავშირი თავის ვალდებულებას ასრულებს.

**ნიუსპრესი**

# „მოვუწოდებთ რუსეთს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამხედრო შენაერთები გაიყვანოს“

## საქართველოს მეგობარი ქვეყნების განცხადება

**ეუთოს მინისტერიალზე საქართველოს მეგობარი ქვეყნების მიერ გაკეთდა განცხადება კონფლიქტის თემაზე, რომელიც მინისტერიალის დოკუმენტთა პაკეტში შევა. დოკუმენტში საქართველოს მეგობარი ქვეყნები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.**

– ჩვენ ვადასტურებთ სრულ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საჭიროებას გაეროს წესდების, ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, სრულად შეასრულოს ევროკავშირის მედიატორობით ხელმოწერილი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, მათ შორის, გაიყვანოს სამხედრო შენაერთები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან.




მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, გააუქმოს საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორები მიესალმებიან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიან საქმიანობასა და მის კონტრიბუციას ადგილზე დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად და მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, უზრუნველყოს სადამკვირვებლო მისიის ხელმისაწვდომობა საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში.

– ჩვენ ასევე მივესალმებით გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მუშაობის აღდგენას და ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებს, რომლებიც ხელს უწყობს ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირებას, – აღნიშნულია განცხადებაში.

◆ ◆ ◆

საქართველოს მეგობარი ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის გამო.

– ჩვენ ვგმობთ გადაადგილების თავისუფლების, საცხოვრებელი საკუთრების, ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებების უხეშ დარღვევებს და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ხელოვნური ბარიერების, მათ შორის, მავთულხლართების გავლება უფრო მეტად ამძიმებს ადგილზე არსებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობას.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების საერთაშორისო მექანიზმების ხელმისაწვდომობა, – ნათქვამია განცხადებაში.

მისი ავტორები მოუწოდებენ ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს, მიაღწიონ შეთანხმებას საქართველოში ეუთოს სრულფასოვანი მისიის აღსადგენად, განსაკუთრებით, მშვიდობიანი მოსახლეობის სასარგებლოდ.

აღნიშნულ მისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ შეუფერხებლად განახორციელოს მონიტორინგი. მისია მნიშვნელოვნად გააძლიერებს ეუთოს ჩართულობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების საქმიანობაში და ნდობის აღდგენის მექანიზმების განხორციელებაში.



– საქართველოს მეგობარი ქვეყნები გამოხატავენ მზაობას, განაგრძონ მუშაობა ეუთოსთან და საქართველოს ხელისუფლებასთან იმისთვის, რომ შეიქმნას ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სახის შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს კონტაქტებს, – აღნიშნულია დოკუმენტში, რომლის თარგმანსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

**მედიანიუსი**

# 6 თვეში საწარმოებში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა




როგორც საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში აღნიშნავენ, საქართველოში კვლავაც მწვავედ დგას ისეთი მოუგვარებელი პრობლემები, როგორებიცაა ღირსეული შრომის პირობები, შრომის უსაფრთხოება, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტები, სამართლიანი ოდენობისა და ცხოვრების ღირსეული პირობების უზრუნველმყოფი პენსია და სხვა.

– 2015 წელს შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი კვლავაც ილუზორულ და უფუნქციო სტრუქტურას წარმოადგენს. საწარმოო უბედური შემთხვევების მიმდინარე სტატისტიკა კი კატასტროფულ ტენდენციაზე მეტყველებს – 2016 წლის მხოლოდ პირველ 6 თვეში (იანვარი-ივნისი) საწარმოებში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა, მაშინ როცა მთლიანად 2015 წელს ეს რიცხვი 42-ს შეადგენდა, – ნათქვამია გაერთიანების განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა შრომითი ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

როგორც პროფკავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, კერძო სექტორში ჯერ კიდევ 1999 წელს ოფიციალურად დაწესებული 20 ლარის ოდენობის მინიმალური ხელფასი მოქმედებს.

– ასეთი ვითარება ხელს უწყობს 25.000 მშრომელის ხელფასის 100 ლარს ქვემოთ, ხოლო ჯამში 140.000-მდე დაქირავებით დასაქმებულის შრომის ანაზღაურების საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმს ქვემოთ შენარჩუნებას.

ამ გამოწვევათა საპასუხოდ დღეს ქართველი საზოგადოება იღებს სრული კარდახურულობის პრინციპით მიღებულ სამთავრობო გეგმას და საჯარო უწყებებში დასაქმებულთა ანაზღაურების ფონდის 10%-იანი შეზღუდვის პერსპექტივას, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები შრომითი უფლებების დაცვის კუთხით.

**მედიანიუსი**

# თბილისში თეო ტლაშაძის სახლი გაქურდეს




10 დეკემბერს, გვიან ღამით, დიღომში ყოფილ დეპუტატ თეო ტლაშაძისა და მისი მეუღლის ზურაბ რჩეულიშვილის სახლი გაქურდეს.

– წაღებულია თითქმის ყველაფერი, არცთუ ისე ცოტა. გვიან ღამით მოხდა შემთხვევა. შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. ადრე საბურთალოზეც გამიქურდეს სახლი. იმედი მაქვს, ეს შემთხვევა გამოუძიებელი არ დარჩება, – ამბობს „კვირასთან“ თეო ტლაშაძე.

როგორც „კვირას“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

**კვირა**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ანზორ აბრალავა: „ლარის კურსის ვარდნასთან ბანკების შესაძლო კავშირი გამოსაკვლევია“

## „თუ კრედიტები კაბალური პირობებით გაიცემა, მოსახლეობა მასობრივად წავა ემიგრაციაში“

მარიამ მჭედლიშვილი



ლარის კურსის ვარდნამ მოსახლეობის ნაწილი დააზარალა. უკვე შეინიშნება ზოგიერთი პროდუქციის გაძვირება. გაზაფხულზე ბევრი ექსპერტი სერიოზულ კრიზისს წინასწარმეტყველებს. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ანზორ აბრალავას.

– ლარის კურსზე დაზუსტებით რაიმეს თქმა ძნელია. ეს დაკავშირებულია როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორებთან. ამიტომ, როცა რომელიმე ექსპერტი დაბეჯითებით საუბრობს ლარის კურსის მომავალზე და ზუსტ პროგნოზს აკეთებს, ეს გაუგებარია. ერთადერთი, იმის თქმა შემიძლია, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ლარის კურსი სტაბილური გახდება, თუმცა ძველ ნიშნულს ვერ დაუბრუნდება.

***– იანვრიდან ნავთობპროდუქტებზე აქციზი იზრდება. ამას სხვა პროდუქციის გაძვირებაც მოჰყვება?***

– ერთმნიშვნელოვნად ამის თქმა არ შეიძლება. ნავთობზე ფასი მსოფლიო ბაზარზე ადრევე დაეცა. ამიტომ ნავთობპროდუქტებზე აქციზის გაზრდამ დიდი რყევები არ უნდა გამოიწვიოს, მით უმეტეს, არ იქნება ყველაფერზე ფასის მატება.

***– სოციალური აფეთქება მოსალოდნელი არ არის?***

– ამის გამო სოციალურ აფეთქებას არ ველი. ფასები ოდნავ მოიმატებს ზოგიერთ საქონელზე.

***– იანვრიდან ზოგიერთი იმპორტირებული ავტომობილიც ძვირდება.***

– საქართველოს ავტომანქანების ბაზარი გაჯერებულია. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მანქანის შეძენას ისედაც არ აპირებს, თანაც, მისი ფასი შეიძლება დაბალი იყოს იმ ქვეყანაში, საიდანაც ის შემოგვაქვს. ამ სფეროშიც არ ველი განსაკუთრებულ რყევებს.

***–ლარიზაციას ანუ დედოლარიზაციას როგორი შედეგი ექნება? იანვრიდან 100.000-მდე კრედიტები ლარში უნდა გაიცეს.***

– მსესხებელს უნდა შეეძლოს კრედიტის აღება როგორც ლარში, ისე დოლარში. მას უნდა ჰქონდეს არჩევანი. პროცენტები კრედიტებზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი და არაკაბალური. თუ კრედიტებს კაბალური პირობებით გასცემენ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავა. ვიზალიბერალიზაციის პროცესი ევროკავშირთან მალე დასრულდება. ეს ვიზები მოკლევადიანი იქნება, მაგრამ შეიძლება, ეს ბევრმა გამოიყენოს სამუშაოს საშოვნელად, შემდეგ კი სამუშაოდ ევროპაში წავიდეს.

***– ბინების ლარში გაყიდვა არ დააზარალებს ბინათმშენებლობას?***

– ბინების ფასს გამოიანგარიშებენ დოლარში და გაყიდიან ლარში იმ დღის შესაბამისი კურსით.

***– არსებული ინფორმაციით, სააკაშვილი იმედს ამყარებს ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შექმნილ პრობლემებზე და თანაპარტიელებს არწმუნებს, რომ ადგილობრივ არჩევნებს ნაციონალური მოძრაობა ბევრ რეგიონსა და ქალაქში მოიგებს.***

– ამ ხალხს სახელმწიფო გადატრიალებაც უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ქვეყნის ფინანსური პრობლემები მარტო მტერს შეიძლება უხაროდეს. ნაციონალები ჩამოწერილი ხალხია, აღარაფერს ვამბობ პირადად სააკაშვილზე, რომელსაც უკრაინაში უკვე სერიოზულად აღარ უყურებენ. ახლა მთავარია, ხელისუფლებამ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინოს და მდგომარეობიდან გამოსვლის მკაფიო გეგმა წარმოადგინოს.

***– მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმა მკაფიო არ არის?***

– ამ გეგმას დახვეწა სჭირდება. გეგმა უნდა გამომდინარეობდეს არსებული გამოწვევებიდან, იმ მომენტში შექმნილი რეალობიდან. ეს არ უნდა იყოს წინასწარ გამოწერილი რეცეპტი. ხელისუფლებამ ამაზე უნდა იფიქროს და არ მიაქციოს ყურადღება კანდელაკისნაირ მანიაკებს, რომლებსაც ქვეყნის განადგურება უნდათ.

***– ლარის კურსის ვარდნის ყველაზე კრიზისულ დღეებში ბევრმა დასვა მთავრობის ეკონომიკური გუნდის გადაყენების საკითხი.***

– ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. კრიზისული მოვლენები სხვა ქვეყნებშიც ხდება, ჩვენ კი ყურადღება უნდა მოვაქციოთ ექსპერტთა ჯგუფების საგანგაშო განცხადებებს და გამოვიკვლიოთ, რა ხდება.

***– რომელ განცხადებებს?***

– ლარის გაუფასურებაში ბანკების მონაწილეობის თაობაზე. ვერაფერს დავამტკიცებ, მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ექსპერტების განცხადებები შესასწავლი და გამოსაძიებელია. ეს განცხადებები ეხება კრიზისულ პროცესებში ბანკების დანაშაულებრივ ჩარევას. სწორია თუ არა ეს განცხადებები, გამოძიებამ დაადგინოს. თუ ამ პროცესებში იკვეთება ვინმეს მონაწილეობა, დამნაშავე კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

# ავტომოყვარულები: „მთავრობა გვატყუებს“

10 დეკემბერს ავტომოყვარულებმა და ავტოდილერებმა თბილისში დიდი საპროტესტო აქცია გამართეს.

აქცია დილომში, ოლიმპიური არენის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო.

აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ივანე ქებაძემ აღნიშნა, რომ მათი მიზანია მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათთვის იმის თქმა, რომ აქციზი არ გაზარდონ.

– ვაპროტესტებთ აქციზის განაკვეთის გაზრდას, რომელიც გამოიწვევს ყველა მომსახურების გაძვირებას და ჩვეულებრივი ადამიანებისთვის გაიზრდება ფასები. ამ აქციის ორგანიზება მოხდა ავტომოყვარულების, დილერების, სტუდენტების მიერ, რომლებისთვისაც მგზავრობის გადასახადი გაძვირდა. ამ აქციას ასევე უერთდებიან ის ადამიანები, რომლებმაც შეიძინეს ავტომობილი და არ იციან, განბაჟების ახალი ტარიფის გადახდა მოუწევთ თუ ძველის. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობს ყველა ის ადამიანი, რომლებსაც ადარდებთ გაზრდილი აქციზის გადასახადი, – განაცხადა ივანე ქებაძემ.



საპროტესტო აქცია პარლამენტის გარშემო

ავტომფლობელების საპროტესტო აქციას არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოტრანსპორტ ცენტრი“ შეუერთდა.

როგორც მისმა ხელმძღვანელმა ვასო ურუშაძემ აღნიშნა, აქციზის განაკვეთის ზრდა ემსახურება მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას და ის მიზნები მთავრობას არ ამოძრავებს, რომლებიც დასახელებული იყო აქამდე.

– მთავარი მიზეზი, რატომაც ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ამ აქციას უერთდება, არის მთავრობის მიერ დასახელებული მიზეზები, რომ თითქოს აღნიშნული საგადასახადო რეგულაციები მიზნად ისახავს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არის ტყუილი და რეალურად აღნიშნული რეგულაციები ემსახურება მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას. მოვუწოდებთ პარლამენტის წევრებს, არ დაუჭირონ მხარი იმ ტყუილს, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ შემოგვთავაზა და გადაიხედოს აღნიშნული რეგულაციები, – განაცხადა ვასო ურუშაძემ.

დილომიდან ავტომოყვარულებმა და ავტოდილერებმა პარლამენტის შენობამდე მსვლელობა გამართეს.

მათ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას საყვირებით რამდენჯერმე შემოუარეს და ასე გააპროტესტეს ავტომანქანებსა და ნავთობპროდუქტებზე აქციზის განაკვეთის ზრდა.

**ბიპიენი**

# ირაკლი კოვზანაძე: „2017 წელს ფასები მოიმატებს“

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძის აზრით, 2017 წლისთვის გარკვეულწილად ფასების მატება შეიძლება იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

კითხვაზე, რამდენად მოსალოდნელია, ნავთობპროდუქტზე აქციზის განაკვეთების გაზრდას შედეგად პროდუქტების გაძვირება მოჰყვეს, კოვზანაძემ შემდეგი განმარტება გააკეთა:

– გარკვეულწილად ფასების მატება შეიძლება იყოს, მაგრამ, იმის გამო, რომ დღეს ქვეყანაში დაბალია ინფლაცია, ჩვენ და ცენტრალური ბანკიც ვფიქრობთ, რომ წლიური ინფლაცია 4%-ის ფარგლებში იქნება. მნიშვნელოვანი ფასების ზრდა საქართველოში მოსალოდნელი არ არის.

# საქართველოში ირანიდან უხარისხო, იაფფასიანი დიზელი შემოაქვთ?

საქართველოში ირანიდან ძალიან დაბალი ხარისხის დიზელის შემოტანა და რეალიზება დაიწყო.

ამის შესახებ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელმა ვასილ ურუშაძემ ბიზნესპრესნიუსთან საწვავსა და საავტომობილო ზეთებზე აქციზის გადასახადის გაზრდის შედეგებზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ფასების ზრდა მომხმარებელს ყოველთვის აიძულებს, შეიძინოს უფრო იაფფასიანი საწვავი, რამაც განაპირობა მოთხოვნა დაბალი ხარისხის დიზელზე.

როგორც ურუშაძემ აღნიშნა, აქციზის ზრდა საწვავსა და საპოხ მასალებზე ფასების ზრდას გამოიწვევს. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ საქართველოში უხარისხო საწვავისა და საპოხი მასალების რეალიზება-მოხმარება მოიმატებს.

– ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არსად გაჟღერებულა და არც დაზუსტებულია, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოში ირანიდან ძალიან დაბალი ხარისხის დიზელის შემოტანა დაიწყო. მეტიც, უკვე არის შემთხვევები აჭარის ტერიტორიაზე, სადაც ბენზინგასამართი სადგურები იხსნება და ასეთი დაბალი ხარისხის საწვავის – დიზელის რეალიზება ხდება. დაბალი ხარისხის ირანული დიზელი საქართველოში თურქეთიდან ავტომობილებით შემოაქვთ და მისი ფასი, ისევე, როგორც ხარისხი, ძალიან დაბალია, – აღნიშნა ურუშაძემ.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრიდან ნავთობპროდუქტსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ ბუნებრივ აირზე აქციზის განაკვეთები გაიზრდება. კერძოდ: 1 ტონა ბენზინზე აქციზის განაკვეთი იზრდება 250 ლარიდან 500 ლარამდე, 1 ტონა დიზელზე – 150 ლარიდან 400 ლარამდე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ 1000 მ3 ბუნებრივ აირზე – 80-დან 200 ლარამდე, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზეთებზე – 400-დან 800 ლარამდე.



**თაია არდოტელი, ბიპიენი**

# აკაკი ზოიძე: „დარწმუნებული არ ვარ, „ჰუმანითი ჯორჯიასთვის“ გადაცემული 30 მილიონი ლარი დაიხარჯა თუ არა“

– თავიდანვე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რომ ერთი კომპანიის „ჰუმანითი ჯორჯიას“ შემოსვლით დიდ ეფექტს მივიღებდით.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი ზოიძემ განუცხადა.

მისი თქმით, ქართული ფარმაცევტული ბაზარი დღეს ოლიგოპოლიურია. არა იმიტომ, რომ რომელიმე კომპანია ცუდი მოთამაშეა, არამედ იმიტომ, რომ ისტორიულად ბაზარზე რამდენიმე ძლიერი მოთამაშე ჩამოყალიბდა.

– მე დარწმუნებული არ ვარ „ჰუმანითი ჯორჯიასთვის“ გადაცემული 30 მილიონი ლარი დაიხარჯა თუ არა, ამაზე ალბათ ჩვენ ცალკე მოვითხოვთ ინფორმაციას და გავერკვევით. აუცილებელია საბაზრო მექანიზმების მაქსიმალური გამოყენება, მათ შორის პარალელური იმპორტის წახალისება უნდა იყოს და რეგულაციები კიდევ უფრო გამარტივდეს იმისთვის, რომ კონკურენცია იყოს და მცირე მოთამაშეებსაც ჰქონდეთ საშუალება, ოლიგოპოლიურ ბაზარზე უფრო მეტი კონტრიბუცია გააკეთონ და ამით კონკურენტუნარიანობა გაზარდონ, რაც თავისთავად ფასების შემცირებას გამოიწვევს.

ექსპერტებს იმ ნაწილში კატეგორიულად არ ვეთანხმები, რომელშიც ამბობენ, რომ რეგულირება ცუდია, შავ ბაზარს გამოიწვევს. ბაზრის უხილავი ხელი ფასებს ყოველთვის კარგად ვერ არეგულირებს, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც საკმაოდ დიდი ზეგავლენაა ფარმაცევტული სექტორისა უშუალოდ ექიმებზე, რომლებიც პაციენტს უწერენ მედიკამენტებს, – განაცხადა ზოიძემ.

Humanity
GEORGIA

# საქართველოში ტაქსის ტარიფის 30-50%-იანი გაძვირებაა მოსალოდნელი

ავტომობილებსა და საწვავზე აქციზის ახალი გადასახადის დაწესება, ლარი-დოლარის კურსის ცვლილება, ავტომობილების შეკეთების ხარჯების ზრდა და ტაქსებზე რეგულაციების შემოღება – ამ მიზეზების ერთობლიობა ტაქსების მომსახურების ღირებულების 30%-დან 50%-მდე ზრდას გამოიწვევს.

ამის შესახებ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის პრეზიდენტმა დავით მესხიშვილმა ოლნიუს.გე-სთან საუბარში განაცხადა.

– 2017 წელს 30%-იან ზრდას უნდა ველოდოთ, ხოლო თუ ტაქსების რეგულაციები ამოქმედდება, გაძვირება 50%-ს მიაღწევს, – განმარტავს მესხიშვილი.

მესხიშვილი ეხმაურება „იანდექს ტაქსის“ წინააღმდეგ კონკურენციის სააგენტოში შეტანილ საჩელსაც.




– „იანდექს ტაქსთან“ დაკავშირებით კითხვის ნიშნები ყოველთვის არსებობდა. ცხადია, რუსულ კომპანიას რაღაც ინტერესი აქვს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ტაქსის მძღოლებს აგენტებად იყენებდნენ. მე არ ვიცი, რა ხდება ამჯერად, მაგრამ ამ კომპანიის საქმე ნამდვილად გამოსაძიებელია. ის ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობს კონკურენტების ჩაძირვას. საწვავზე ფასები იზრდება, მაგრამ „იანდექსი“ მომსახურებას არ აძვირებს, ტაქსის სხვა კომპანიებს კი იმავე ფასის შენარჩუნება უჭირთ.

საინტერესოა, რა მოხდება 2017 წელს, როცა ბევრი ისეთი სიახლე შევა ძალაში, რომელმაც ტაქსების მომსახურების ღირებულება ცალსახად უნდა გააძვიროს. საქართველოში ტაქსების მომსახურების ფასები გამოკვლეული არ არის და რთულია მინიმუმი ღირებულების დასახელება, რომელიც შეიძლება, ერთი კილომეტრი ღირდეს, მაგრამ, მე შემიძლია ვთქვა, რომ ის მეტია, ვიდრე „იანდექს ტაქსის“ მიერ შეთავაზებული ტარიფი, – განაცხადა საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის პრეზიდენტმა.

**ნანა მღებრიშვილი, ბიპიენი**

# ხელისუფლებამ ნარკოპოლიტიკა უნდა შეცვალოს

ნონა ცაბაძე

ორგანიზაცია „თეთრი ხმაურის მოძრაობამ“ 10 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე ნარკოპოლიტიკის გადახედვისა და ნარკოტიკული საშუალების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით ხმაურიანი აქცია გამართა.

უნდა მოხდეს თუ არა მარიხუანის ლეგალიზაცია, ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაცია და ამ კუთხით უნდა შეარბილოს თუ არა სახელმწიფომ პოლიტიკა? – „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი **გელა ნიკოლაიშვილი** და ნარკოლოგი **ზურამ სიხარულიძე** პასუხობენ.


გელა ნიკოლაიშვილი

გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ თუ მარიხუანის ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს საafთიაქო ნარკომანიის დამარცხებას, შევიწროებას ან შემცირებას, მაშინ ასეთი ლეგალიზაციის დაშვება გამართლებული იქნებოდა.

**გელა ნიკოლაიშვილი:**

– როგორც ამაში ჩახედული ადამიანები ამბობენ, ეს საწამლავი, რომელიც იყიდება აფთიაქებში, სწორედ იმიტომ არის ასე გავრცელებული, რომ არ არის ლეგალიზებული მარიხუანის მოხმარება. თუ ასეა, მაშინ ეს დასაშვები იქნებოდა. პირდაპირ ეთერში ვუყურებდი ამ აქციას და ჩემზე ცოტა უცნაური შთაბეჭდილება დატოვა.

***– რა თვალსაზრისით?***

– თუ როგორ მოუწოდებდნენ პოლიციელებს, რომ არ გაბედოთ, რას ჩადიხართ, ასეთი რაღაცა არავის გაუკეთებია, როგორ ბედავთ და ასე შემდეგ. ვინც არ იცოდა, რა ხდებოდა, იფიქრებდა, რომ ქვეყანა იქცეოდა. წარმოუდგენელ რამეს აკეთებენ პოლიციელები, სად არის შინაგან საქმეთა მინისტრიო. ამ დროს პოლიცია მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ გადაკეტილი გზა გაეთავისუფლებინა, აქციის მონაწილეებს კი უნდოდათ, ისეთი სურათი დაეხატათ, თითქოს პოლიცია წარმოუდგენელ სისასტიკეს ჩადიოდა. მათ პოლიციის დემორალიზება უნდოდათ, თუმცა არ გამოუვიდათ.

***– მართული აქცია იყო? პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა?***

– აქცია თავისთავად მართულია. აქციები ასე სპონტანურად არ იმართება. პოლიტიკურ მხარეს რაც შეეხება, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ საკითხს ლობირებს, არც მალავს ამას. მე არ ვიცი, ამ კონკრეტულ აქციაში ისინი იღებდნენ თუ არა მონაწილეობას, მაგრამ მათი როლიც იქნებოდა, იმიტომ რომ დემორალიზებისა და პოლიციელების ხელ-ფეხის შეკვრისკენ აშკარად გამიზნული მოქმედება იყო – პოლიციელებმა არ გაბედონ და ხელი არ შეუშალონ გზის გადაკეტვას.

***– არ უნდა გადაეკეტათ რუსთაველის გამზირი?***

– გზა ჩვენც ბევრჯერ გადაგვიკეტავს და აქციის მიზანიც ეს არის, მაგრამ, ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, გზა მაშინ უნდა გადაიკეტოს, როცა იქ ხალხი ვერ ეტევა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქციისთვის მართლაც ბევრი ხალხი იყო, იმდენი მაინც არ იყო, რომ გზა გადაეკეტათ.

***– მხარდამჭერი ბევრი ჰყავთ, მაგრამ, თუ მარიხუანის ლეგალიზებამ საафთიაქო ნარკომანია ვერ დაამარცხა, მერე? ეს კიდევ უფრო ხომ არ დაამძიმებს სურათს?***

– ჩემი აზრით, ერთადერთი პლუსი ამას ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაამარცხებს საафთიაქო ნარკომანიას, თუმცა ისედაც შეუძლია ხელისუფლებას, ამ საკითხს მიხედოს და რატომღაც თვალში ნაცარს იყრის, თითქოს ვერ ხედავს, რა ხდება საафთიაქო ბაზარზე.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ ნარკოპოლიტიკა გადასახედია. საინტერესოა, რა კუთხით გადახედავენ ამ საკითხს?***

– როგორც სპეციალისტები ამბობენ, მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია. ის საშიში არ არის. მაშინ შეიძლება, აქ სპეციალური რაღაცა ნორმები, დოზები იქნეს დაშვებული, მაგრამ შეუძლებელია, სრულიად უკონტროლო იყოს და ის, რასაც ისინი ამბობენ, დავუშვათ. მე მოვისმინე იქ ერთი-ორის გამოსვლა, რომ მოხდეს ყველა ნარკოტიკის დეკრიმინალიზაცია.

***– ეს დაუშვებელია?***

– ჩემი აზრით, ეს დაუშვებელია და არცერთ ქვეყანაში არ ხდება. ასახელებენ პორტუგალიას. მე არ გამიგია ეს, მაგრამ, ასეც რომ იყოს, პორტუგალიის მაგალითი თუ მისაღებია და კარგია, ერთადერთ ქვეყანაში კი არ დარჩებოდა, სხვებიც მიბაძავდნენ. მაინცდამაინც საქართველომ რატომ უნდა მიბაძოს?! აქედან გამომდინარე, ნარკოლეგალიზაცია, მთლიანად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ისევე გაყიდვა, ვთქვათ, აფთიაქებსა თუ მაღაზიებში, როგორც სიგარეტი იყიდება, დაუშვებლად და წარმოუდგენლად მიმაჩნია.

***– რა ფორმაა მისაღები?***

– მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია მხოლოდ მარიხუანის ლეგალიზაცია და მითითება, რომ დანარჩენი ნარკოტიკული საშუალების მიმართ მიდგომა მკაცრდება. განსაკუთრებით ამ ბიოებისა და ათასი საწამლავის მიმართ კანონმდებლობა კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს.

***– ეს მომხმარებელთა რიცხვს ხომ არ გაზრდის?***

– მე ვფიქრობ, გაიზრდება მარიხუანის მომხმარებელთა რიცხვი, მაგრამ ამ ფონზე უნდა შემცირდეს დანარჩენი ნარკოტიკის მომხმარებელთა რიცხვი. უნდა იცოდნენ, თუ მძიმე ნარკოტიკს მოიხმარენ, მათ კანონთან სერიოზული პრობლემები ექნებათ. ასეთ შემთხვევაში არჩევანის საშუალება ექნებათ, თუმცა მაინც ძალიან ფრთხილი მიდგომებია საჭირო, ხელაღებით არაფრის გაკეთება არ შეიძლება!

* * *

ზურაბ სიხარულიძის აზრით, გირჩის გარდა, ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციას არავინ ითხოვს. ეს ხალხი ითხოვს დეკრიმინალიზაციას. დეკრიმინალიზაცია კი ნიშნავს იმას, რომ მოხმარების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოიხსნას.

**ზურაბ სიხარულიძე:**

– ამას მხოლოდ „თეთრი ხმაურის მოძრაობა“ არ ითხოვს. ამას ითხოვენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ. 2006 წლიდან ქვეყანაში არის რეპრესიული ნარკოპოლიტიკა და ნულოვანი ტოლერანტობა, რომელიც შემოიღო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ და ძალიან ბევრი ადამიანი მხოლოდ მოხმარების გამო იქნა დაპატიმრებული. მათ ჰქონდათ დიდი საპროცესო გარიგებები.

***– ანუ პოლიტიკის შემსუბუქებას ითხოვთ?***

– ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, შემსუბუქდეს ის რეპრესიული მანქანა, რომელიც დღეს არსებობს. არავინ ითხოვს ლეგალიზებას და ნარკოტიკების პოპულარიზაციას არავინ ეწევა. რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას შედეგი არ მოაქვს. რეპრესიის შედეგად მივიღეთ ის, რომ გვყავს უამრავი უფლებაწართმეული, ქონებაწართმეული ადამიანი, რომლებმაც გაიარეს უმძიმესი რეპრესიები ციხეში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოხმარების გამო დააპატიმრეს.

დღეს გვაქვს სერიოზული პრობლემები თვითონ კანონმდებლობაში. არ არის განსაზღვრული მცირე ოდენობები. რეალურად ეს ადამიანები მილიგრამების გამო ხვდებიან ციხეში და მათი სასჯელი ძალიან მაღალია.

***– მსუბუქ ნარკოტიკებზე რას ფიქრობთ?***

– მსუბუქი ნარკოტიკები უკვე, პრაქტიკულად, დეკრიმინალიზებულია, იმიტომ რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ამას არანაირი ბუმი არ მოჰყოლია.

***– გაკეთდა შეფასებები, რომ ამ შემთხვევაში გაიზრდება მოხმარება. თქვენ ასე არ ფიქრობთ?***

– არა. უკვე ერთ წელიწადზე მეტია, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და მარიხუანის მოხმარების გამო პატიმრობა აღარ არის. რამე უბედურება მოხდა ამ ქვეყანაში ამის გამო?! გაიზარდა მოხმარება და ქუჩაში ეწევიან მარიხუანას ან გვაქვს კოშმარი?! მსგავსი არაფერი მომხდარა და არც მოხდება.

მარიხუანის მოხმარებაზე პატიმრობა გააუქმეს, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მაინც არსებობს. ჩვენ თვითონ ვახდენთ იმ ადამიანების კრიმინალიზაციას, რომლებიც ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, ვქმნით პრობაციონერებს, კრიმინალებს, ვხარჯავთ უამრავ ფულს შარდის შეგროვებასა და იქ რაღაცის აღმოჩენაში, რაც რეალურად არ შეესაბამება იმ ნორმებს, რომლებიც არსებობს მსოფლიოში. ამ მხრივ ქვეყნის მიდგომა უნდა შეიცვალოს.

***– ხელისუფლების მხრიდან ნარკოპოლიტიკა გადასახედია?***


ზურაბ სიხარულიძე

– აუცილებლად გადასახედია, აუცილებლად, იმიტომ, რომ ამით პრობლემური ნარკომანების გაზრდილი რაოდენობა მივიღეთ. ჩვენთვის რომ რეპრესიას რაიმე შედეგი მოეტანა, დღეს ამ კუთხით პრობლემა არ გვექნებოდა. ჩვენ კი რა მივიღეთ? თუ 2009 წელს გვყავდა 45.000 პრობლემური ნარკოტიკის მომხმარებელი, 2016 წელს გვყავს 50.000 პრობლემური მომხმარებელი.

***– ანუ რიცხვმა მოიმატა?***

– რა თქმა უნდა, მოიმატა, თუნდაც ბოლო ორი კვირის განმავლობაში შიდსის 25 ახალი შემთხვევაა. რამხელა პროგრამას ახორციელებს სახელმწიფო ცე ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით. აქედან დაახლოებით 60% არის ნარკომანი, რომელიც დაავადებულია ცე ჰეპატიტით. აი, ეს მივიღეთ რეპრესიებით.

არ მუშაობს პრევენციული პროგრამა, არ მუშაობს ის პროგრამები, რომლებიც რეალურად ჯანდაცვაზეა ორიენტირებული. ამიტომ დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობა გვაქვს. ეს არ გვექნებოდა, ქვეყანაში ასეთი რეპრესიები რომ არ განხორციელებულიყო.

# ქმარმა ყოფილი ცოლი მოკლა და თვითმკვლელობა ცადა



## ტრაგედია წინანდალში

9 დეკემბერს მკვლელობა მოხდა წინანდალში. ქმარმა 33 წლის ყოფილი ცოლი თოფით მოკლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მიზეზი, სავარაუდოდ, ეჭვიანობაა. მამაკაცს მეუღლესთან ჯერ სიტყვიერი დაპირისპირება ჰქონდა, შემდეგ კი მან ახალგაზრდა ქალს ჭრილობა თავის არეში მიაყენა, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა. დაჭრილი თელავის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა, 1984 წელს დაბადებულმა ა.ბ-მ მომხდარის შემდეგ თვითმკვლელობა ცადა. მას თელავის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა და ის ბადრაგის მეთვალყურეობის ქვეშაა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 9 დეკემბერს, საღამოს, თელავის რაიონის სოფელ წინანდალში 1984 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას ყოფილი მეუღლე, 1987 წელს დაბადებულ ე.შ. თავის საცხოვრებელ სახლში სანადირო თოფიდან გასროლით თავის არეში დაჭრა. მიყენებული ჭრილობის შედეგად ქალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მომხდარი ფაქტის შემდეგ ბრალდებულმა დანაშაულის ჩადენის იარაღით თვითმკვლელობა ცადა, კერძოდ, თავის არეში, სანადირო თოფიდან გასროლით თავი დაიჭრა. იგი თელავის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ბადრაგის მეთვალყურეობის ქვეშ გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 3 დეკემბერს თელავის რაიონულმა სასამართლომ ა.ბ-ს მიმართ, ყოფილ მეუღლესთან არსებული კონფლიქტის გამო, შემაკავებელი ორდერი დაამტკიცა.

მოსამართლემ ა.ბ-ს 30 დღის განმავლობაში ე.შ-სთან მიახლოება და სატელეფონო კავშირი აუკრძალა, რასაც ა.ბ. არ დაემორჩილა.

უფრო ადრე, 2016 წლის 21 ნოემბერს, შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ამ დროისთვის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ა.ბ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, დამზადება-ტარების ბრალდებით დააკავეს (საქართველოს სსკ-ის 236-ე ნაწილის მესამე და მეოთხე ნაწილით).

თელავის რაიონული პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ იქნა პატიმრობა, მაგრამ თელავის რაიონულმა სასამართლომ ა.ბ-ს საპატიმრო გირაო, 8.000 ლარი შეუფარდა, რომელიც მან გადაიხადა და 2016 წლის 1 დეკემბერს პენიტენციარული დაწესებულებიდან გათავისუფლდა.

**ნიუპოსტი**

# თურქეთის მოქალაქე დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის დააკავეს



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოსა და სამეგრელოს პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.რ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 63 აბი და აბის ნატეხები ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 0,55178 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

**ნიუპოსტი**

# აქციაზე დაკავებული „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ წევრები გაათავისუფლეს

„თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ გამართულ აქციაზე დაკავებული 2 პირის სასამართლო პროცესი 29 დეკემბრისთვის გადაიდო.

როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ინტერპრესნიუსს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტმა გურამ იმნაძემ განუცხადა, სამართალდამცველებს პროცესზე არ ჰქონდათ წარმოდგენილი სამხრე კამერების ჩანაწერები, რის მიხედვითაც მსჯელობა უნდა გამართულიყო.

ადვოკატის თქმით, სწორედ ეს გახდა პროცესის გადადების მიზეზი.

– რატომ ვერ წარმოადგინეს სამართალდამცველებმა ვიდეოჩანაწერები, ჩვენთვის უცნობია, თუმცა, ცხადია, რომ ეს ტექნიკურად მარტივი პროცედურაა, – განაცხადა გურამ იმნაძემ.

პროცესის გადადების პარალელურად, „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ გამართულ აქციაზე დაკავებული ორი პირი შოთა ხინჩეგაშვილი და მირიან მალაყმაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

მათ ბრალად „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 173-ე მუხლის დარღვევა ედებათ, რაც პოლიციელისთვის დაუმორჩილებლობას გულისხმობს და ითვალისწინებს ჯარიმას ან 15 დღით თავისუფლების აღკვეთას.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# იტალიას ახალი პრემიერი ჰყავს

იტალიას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. ეს თანამდებობა მოქმედმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, 62 წლის პაოლო ჯენტილონიმ დაიკავა.



ქვეყნის პრეზიდენტმა სერჯო მატარელამ მას გუშინ, 11 დეკემბერს, მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება დაავალა.

მინისტრთა ახალი კაბინეტი 2018 წლის თებერვლამდე, ახალი პარლამენტის არჩევამდე იმუშავებს.

პაოლო ჯენტილონიმ პრემიერის თანამდებობაზე მატეო რენცი შეცვალა, რომელმაც გადადგომის შესახებ განცხადება 7 დეკემბერს გააკეთა.

მინისტრთა ახალ კაბინეტს იტალიის პარლამენტი კენჭს, სავარაუდოდ, 14 დეკემბერს უყრის.

# ფინეთის პრემიერი: „რუსეთის სანქციების გაუქმება შეუძლებელია“

ფინეთის პრემიერმა იუჰა სეპილიამ განაცხადა, რომ ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება შეუძლებელია მანამ, სანამ მინსკის შეთანხმებები ბოლომდე არ შესრულდება.

– რუსეთმა დონბასიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინას გადასცეს, – განაცხადა სეპილიამ.



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა პასუხად ძველი თეზისები მოიშველია. მან აღნიშნა, რომ დონბასში რუსული არმია არ დგას. რაც შეეხება საზღვრის უკრაინისთვის გადაცემას, ეს მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა ჩატარდება არჩევნები და დონბასს ერთიანი უკრაინის შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭება.

– არ მესმის, სანქციები ჩვენ რატომ დაგვიწესეს! მინსკის შეთანხმებებს უკრაინა არღვევს, – ამბობს ლავროვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო: „ტრამპს გამარჯვებაში რუსები დაეხმარნენ“

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში უხეშად ჩაერია და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა დონალდ ტრამპს გაემარჯვა.




კერძოდ, საუბარია ჰაკერებზე, რომლებმაც რუსული სპეცსამსახურების დავალებით რესპუბლიკური პარტიის ელფოსტა გატეხეს, შემდეგ კი კონფიდენციალური ინფორმაცია ვიკილიქსს გადასცეს.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ცსს-მ დაადგინა იმ პირთა ვინაობაც, რომლებმაც ხსენებული ფოსტა გატეხეს.

– ამის შესახებ ამერიკული სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა ობამას ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ოქტომბერში მოახსენეს. მაშინ პრეზიდენტმა ინფორმაციის გასაჯაროებასა და სათანადო ზომების მიღებაზე უარი განაცხადა, – იტყობინება „ვაშინგტონ პოსტი“.

ცსს-ის ცნობას წინ ფრიად საინტერესო მოვლენები უძღოდა.

ჯერ ერთი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კანდიდატებიდან ამოვარდნენ როგორც ჯულიანი, ასევე მიტ რომნიც, რომელთა შანსები მკვეთრად შემცირდა. „ნიუ იორკ თაიმსის“ ცნობით, ტრამპი, სავარაუდოდ, არჩევანს მსხვილ ბიზნესმენ რექს ტილერსონზე შეაჩერებს. სანავთობო კომპანია, რომელსაც ტილერსონი ხელმძღვანელობს, მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთთან.

სიურპრიზები ამით არ ამოიწურა. მოსკოვს კონფიდენციალური ვიზიტით ტრამპის ნდობით აღჭურვილი პირი პეიჯი ეწვია. ის ვლადიმერ პუტინს უშუალოდ შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტი კონფიდენციალური იყო, მის შესახებ „ლენტა რუ“-სთვის გახდა ცნობილი. მალე იმავე „ლენტა რუ“-მ პეიჯის შემდეგი სიტყვები გაასაჯაროვა:

– პეიჯმა პუტინს განუცხადა, რუსული ბაზარი გვჭირდება, ამიტომ მზად ვართ, სანქციების მოხსნაზეც ვიფიქროთ და ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის კანონიერებაც ვაღიაროთო, – ამტკიცებს „ლენტა რუ“.

ამერიკელი სენატორი სტივენ კუნსი თვლის, რომ თუკი ტრამპმა მართლაც პუტინთან მოლაპარაკებები ცადა, ამას როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელები წინ აღუდგებიან. კონგრესის ორივე პალატა ტრამპის წინააღმდეგ გამოვა.

ამ აზრს პოლიტოლოგი სტივენ სესტანოვიჩიც იზიარებს.

– ამერიკაში ჩამოყალიბებულია ანტირუსული კონსენსუსი. ეს არა მხოლოდ რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს, არამედ მთელ საზოგადოებას ეხება. ფაქტია, რომ ჰილარი კლინტონმა ტრამპზე ბევრად მეტი ხმა მიიღო. ტრამპსაც ანტირუსული კონსენსუსის დარღვევა ძალიან გაუჭირდება, – ამბობს სესტანოვიჩი.

უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო მიიჩნევს, რომ პეიჯის მოსკოვური ვიზიტის თაობაზე ინფორმაციის გაჟონვა შემთხვევით არ მოხდა.

ცხადია, რომ შექმნილ ვითარებაში მოსკოვ-ვაშინგტონს შორის დათბობა შეუძლებელია. ტრამპს ამის უფლებას არავინ მისცემს. შესაბამისად, რჩება ერთადერთი ვარიანტი – ამერიკაში არსებული შიდა წინააღმდეგობის გაღრმავება. რუსულმა სპეცსამსახურებმაც პრესას ხსენებული ინფორმაცია ამიტომ მიუგდეს.

– პუტინის ჩანაფიქრი მარტივია: ტრამპის მოწინააღმდეგენი შეეცდებიან, ეს ფაქტი მის წინააღმდეგ გამოიყენონ. ტრამპიც თავის დაცვას დაიწყებს. შედეგად შიდა წინააღმდეგობები გაიზრდება, – ამბობს ფისენკო.

# ტერაქტი სტამბოლში

სტამბოლში მორიგი ტერაქტი მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობებით სავსე მანქანა სტადიონ „ბეშიქთაშის“ მახლობლად აფეთქდა. შედეგად დაიღუპა 29 ადამიანი. აქედან 17 პოლიციელია.



თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან შოულომ განაცხადა, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

– ჩემი აზრით, ამის უკან ქურთები უნდა იდგნენ, – აცხადებს თურქი მინისტრი.

თურქეთში გლოვაა გამოცხადებული. ტერაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

დაკავებულია 10 ეჭვმიტანილი.

# ნიგერიაში ეკლესიის ჩამონგრევის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა

ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ უიოში სამლოცველოს ჭერის ჩამონგრევის შედეგად 60-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.



ეკლესიაში ასობით ადამიანი მღვდლად კურთხევის ცერემონიაზე დასასწრებად იყო შეკრებილი. მრევლს შორის აკვა-იბომის შტატის გუბერნატორი უდომ ემანუელიც იმყოფებოდა. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეკლესიის მშენებლობა ცოტა ხნის წინ დასრულდა. მშენებლები ჩქარობდნენ, რათა მშენებლობის დასრულება ცერემონიის ჩატარების თარიღისთვის მოესწროთ.

# აშშ სირიაში დამატებით ჯარებს აგზავნის

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ სირიაში დამატებით ჯარებს გაგზავნიან, რათა ქურთულ და არაბულ ფორმირებებს რაქადან ისლამური სახელმწიფოს ფორმირებების განდევნაში დაეხმარონ.



როგორც ცნობილია, რაქა ექსტრემისტებმა თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ტერორისტები გავანადგუროთ, – თქვა კარტერმა.

# კაიროში ქრისტიანულ ტაძართან აფეთქება მოხდა

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში კოპტების წმინდა მარკოზის სახელობის ტაძართან მომხდარი აფეთქების შედეგად, სულ მცირე, 22 ადამიანი დაიღუპა.



აფეთქება ადგილობრივი დროით დილის 10:00 საათზე მოხდა. შემთხვევის შედეგად 35-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. ისინი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილზე კაიროს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ხალიდ აბდელ აალი მივიდა. აფეთქების მიზეზი ამ დრომდე დაუდგენელია.

ქრისტიანი-კოპტების რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ეგვიპტის მოსახლეობის 10-15 პროცენტს შეადგენს.

# ბულგარეთში მატარებელი რელსებიდან გადავიდა

ბულგარეთში სოფელ სიტრინოსთან სატვირთო მატარებელმა კატასტროფა განიცადა. ბენზინის ცისტერნებით დატვირთული ვაგონები რელსებიდან გადმოვიდა. შედეგად სოფელს ხანძარი მოედო.

დაზარალებულია სიტრინოს 29 მცხოვრები. განხორციელდა დანარჩენ მცხოვრებთა ევაკუაცია.

მიმდინარეობს გამოძიება. ვარაუდობენ, რომ ავარია სიჩქარის გადამეტებამ გამოიწვია.



**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სამტრედია ჩემპიონია, ბათუმის დინამოს მესამე ადგილი და ევროსაგზური ერგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წუთზე საბა ლობჟანიძემ ზუსტი 11-მეტრიანით ანგარიში გაათანაბრა და საკუთარი გუნდი საპასუხო შეხვედრაში მარცხისგან იხსნა, თუმცა მეტის გაკეთება სოსო ფრუიძის გუნდმა ვეღარ მოასწრო.

ორი მატჩის ჯამში სამტრედიამ მეტოქეს 4:2 სძლია, ოქროს მედლების მფლობელი გახდა და 2017 წლის ზაფხულში საქართველოს ღირსებას უეფას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიცავს.

ჩიხურას წილად გარდამავალი ჩემპიონატის ვერცხლი და ევროპა ლიგის საგზური ხვდა.

**დინამო (ბთ)-დინამო (თბ) 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 შონია (16)

**დინამო ბათუმი:** ტიმაფეევი, ტვილდიანი (ვარშანიძე 90), გოგიტიძე, კვირკველია, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, შონია, ფონიავა, ქავთარაძე (გორელიშვილი 56), გეგეჭკორი (თევდორაძე 86), ლობჟანიძე

**დინამო თბილისი:** რევიშვილი, თევზაძე (ნინუა 57), ლოჩოშვილი, ხუბუტია, ჭელიძე (კობოური 46), ცინცაძე, კიტეიშვილი, პაპუნაშვილი, ზარია, ჯიღაური (ჩაკვეტაძე 46), მიქელთაძე

მსაჯის მიერ კომპენსირებულ მე-5 წუთზე გიორგი პაპუნაშვილმა კუთხური მოაწოდა, საჯარიმოში ბურთს თავი შეტევაში წასულმა თბილისელთა მეკარე ნუკრი რევიშვილმა შეაგება, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ თარხნიშვილმა ცარიელი კარიდან გამოიტანა და მატჩის დამატებით დროში გადაყვანის უფლება არ მისცა. მსაჯმაც ჩასტვინა და ბათუმის დინამო მე-3 ადგილთან ერთად ევროსაგზურს დაეუფლა.

სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ ეს დინამოს მე-2 ჩავარდნილი სეზონია. ჩავარდნილი იმ გაგებით, რომ არსებობის ისტორიაში მეორედ ვერ მოხვდა საპრიზო სამეულში და ევროტურნირზე. და ეს ყველაფერი ბოლო 6 წელიწადში, ანუ რომან ფიფიას მმართველობის პერიოდში.

ბათუმელებმა კი ყველაფერი გაიღეს მიზნის მისაღწევად და ევროსაგზური დაიმსახურეს. ზღვისპირელები შეუერთდნენ სამტრედიას, საჩხერის ჩიხურასა და ქუთაისის ტორპედოს. როგორც ხედავთ, ოთხივე გუნდი, რომელიც ევროთასებზე ითამაშებს, დასავლეთ საქართველოს წარმოადგენს.

ახლა თავად მატჩზე: ბრინჯაოს მცირე ფინალი გორში უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო თბილისში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გადმოიტანეს.

ბათუმისა და თბილისის დინამოები 50-ედ წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. პირველი სახიფათო შეტევა თბილისელთა ჩაწოდებულ საჯარიმოს მოჰყვა, თუმცა ხუბუტიამ ითამაშა არაზუსტად. საპასუხოდ ბათუმელებმაც შეუტიეს, სათამაშო ინიციატივაც მოიპოვეს და მე-16 წუთზე გახსნეს ანგარიში. გიორგი ქავთარაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულს საჯარიმოში უმეთვალყუროდ მიტოვებული თეიმურაზ შონია დაუხვდა და ზუსტი დარტყმით გაიტანა – 1:0.

საპასუხოდ გიორგი ზარიას ძლიერად დარტყმულია აღსანიშნავი, ბურთი კი ზემოდან გადაცდა მეტოქის კარს. 24-ე წუთზე ბათუმელთა სახიფათო შეტევა განხორციელდა. თბილისელები ორჯერ გადაურჩნენ გოლს. პირველ შემთხვევაში შონიას დარტყმული ბურთი ხარიხამ მოიგერია, მეორედ კი ელგუჯა ლობჯანიძემ ააცილა ახლო მანძილიდან.

ტაიმის ბოლოს თბილისელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, გიორგი პაპუნაშვილმა ბურთი ოთარ კიტეიშვილს გადააწოდა, მისი დარტყმული კი მეტოქის მცველმა ბოლო მომენტში კუთხურზე მოიგერია.

მე-2 ტაიმი თბილისელებმა 2 ცვლილებით განაახლეს. მოედანზე ზაზა ჭელიძისა და ჯაბა ჯიღაურის ნაცვლად დავით კობოური და გიორგი ჩაკვეტაძე შევიდნენ. ორიოდე წუთში გიორგი ზარიამ გაისროლა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად. ბურთი ზევიდან გადასცდა ბათუმელთა კარს.

76-ე წუთზე ბათუმელთა სწრაფ კონტრშეტევას შონიას დარტყმა მოჰყვა. ბურთი რევიშვილის კარის ბადეს გარედან მოხვდა. საპასუხოდ გიორგი ჩაკვეტაძე ახლოს იყო მიზანთან, იგი საჯარიმოში შეიჭრა, მეტოქის მცველს ცრუ მოძრაობით გასცდა, ამ უკანასკნელის ვარდნას კი ჩაკვეტაძის წაქცევა მოჰყვა. მსაჯმა ეს ეპიზოდი წესების დარღვევად არ მიიჩნია და დედაქალაქელთა ახალგაზრდა შემტევი სიმულაციისთვის გააფრთხილა.

დარჩენილ დროში აღარაფერი შეცვლილა და ბათუმის დინამომ 1:0 მოიგო.

# დინამოს ვერ აჩერებენ

**დინამო-სოხუმი 108:86**

**(34:23, 24:20, 25:21, 25:22)**

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

თბილისის დინამოს შეჩერებას ვერავინ ახერხებს. დინამოელებმა ამჯერად სოხუმს მოუგეს დამაჯერებლად. მატჩი საკმაოდ უხვქულიანი გამოდგა, რომელიც სუპერლიგის ლიდერის გამარჯვებით – 108:86 დასრულდა.

სოხუმელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა უკრაინელ მეფარე ოლექსანდრ ტიშჩენკოს, რომელმაც 17 წუთში 17 ქულა ჩააგდო და თავის გუნდში ბომბარდირი გახდა. უკრაინელი ლეგიონერის შედეგიანი გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატებისთვის. დინამოელებმა შეხვედრა მაღალ ტემპში, შედეგიანად ჩაატარეს და სუპერლიგაში ზედიზედ მე-10 გამარჯვება მოიპოვეს.

პირველი პერიოდი დინამომ 34:23 მოიგო, ხოლო მეორეში ლიდერობას 4 ქულაც მიამატა და დიდ შესვენებაზე 15-ქულიანი უპირატესობით გავიდა. სოხუმის მწვრთნელი ხშირი როტაციით საქმის გამოსწორებას ეცადა, მაგრამ დინამოელები უშეცდომოდ ირჯებოდნენ და მეტოქეს თამაშის შემობრუნება არ დაანებეს. ბოლო პერიოდის წინ თბილისური გუნდი 21 ქულით იგებდა და კარგად დაწყებული მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

დინამოში საუკეთესო შედეგი ახალგაზრდა ლევან გრძელიძემ დააფიქსირა, რომელმაც 25 წუთში 25 ქულა მოაგროვა. 14 ქულა და 8 პასი მიითვალა დეონტა ვონმა, ხოლო ნიკოლა მარავიჩმა გამარჯვებულებს 15 ქულა და 11 მოხსნა შესძინა.

სოხუმში 17 ქულით ზემოთ ნახსენები ტიშჩენკო გამოირჩა, ოთარ ბულიავას ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა.

**ქუთაისი-რუსთავი 91:67**

**(28:17, 17:25, 18:14, 28:11)**

დაკარგული ქულებით ეს გუნდები თანაბრად იყვნენ: ორივე მათგანს 2-2 წაგება ჰქონდა, შესაბამისად, მოგებას ორივე მათგანისთვის პრინციპული მნიშვნელობა გააჩნდა.

მატჩი ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო და პირველ პერიოდში მასპინძლები 22:7 დაწინაურდნენ. ათწუთეულის ბოლომდე რუსთაველებმა ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირეს, ხოლო მეორე ათწუთეულში უფრო შედეგიანად ათამაშდნენ და მეტოქეს 3 ქულით მიუახლოვდნენ – 31:34.

ეს სხვაობა შემდეგშიც არაერთხელ დაფიქსირდა, თუმცა უფრო ახლოს ქვემოქართლელები მასპინძლებთან ვეღარ მივიდნენ.



დიდი შესვენების შემდეგ იმერულმა კლუბმა მატჩის სადავეები ისევ ხელთ იგდო და მესამე პერიოდის 18:14 მოგებით ბოლო მეოთხედის წინ 7 ქულით გალიდერდა. გადამწყვეტ პერიოდში ბრძოლა არ შედგა. მასპინძლებმა ათწუთეული 28:11 მოიგეს და საბოლოოდ 24 ქულით გაიმარჯვეს.

მასპინძელთაგან საუკეთესო შედეგი გიორგი ცინცაძემ დააფიქსირა, რომელმაც 27 ქულა, 12 პასი და 6 მოხსნა მოაგროვა. 22 ქულითა და 8 მოხსნით გამოირჩა ბექა ბექაური, აკაკი ლომოურის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა.

რუსთაველთა გუნდში 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ტომი სპანოლომ დაძლია, რომელმაც 16 ქულა მიითვალა.

**ბათუმი-კაკტუსი 82:86**

**(18:22, 18:26, 24:20, 22:18)**

კაკტუსელებმა შედეგიანად დაიწყეს მატჩი და პირველი პერიოდი 22:18 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი უპირატესობა 12 ქულამდე გაზარდეს – 48:36. თბილისური გუნდი შედეგიანად თამაშობდა როგორც უკანა, ისე წინა ხაზში.

მასპინძლებმა მესამე პერიოდიდან თამაში შედარებით გამოასწორეს და ჩამორჩენის შემცირება იწყეს. ბათუმმა ათწუთეული 24:20 მოიგო და ბოლო პერიოდის დაწყებამდე ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირა, რის შემდეგაც ბევრს ეცადა, საქმე გამოესწორებინა, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხა, ჩამორჩენის 2 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ, კაკტუსმა 86:82 იმარჯვა და ბათუმს ცხრილში გაუთანაბრდა. ორივე გუნდს 5 მოგება და ამდენივე წაგება აქვს.

კაკტუსში 25 ქულითა და 16 მოხსნით ჯონ ფლოვიესი გამოირჩა. ტაილერ უაიტმა თბილისურ გუნდს 22 ქულა შესძინა. 15 ქულა ჰქონდა ბექა ჩიკვილაძეს, ხოლო ვატო ბააკაშვილმა 11 ქულა, 9 პასი და 8 მოხსნა მოაგროვა.

ბათუმში 22 ქულით ბომბარდირი გახდა კახა ჯინჭარაძე. 16 ქულა იგორ კრივცოვმა მიითვალა, 13-13 ქულა კი ილია შემოსიუკმა და ბესო ლეჟავამ დააგროვეს. კრისტოფერ პელჩერმა შეხვედრა ორმაგი დუბლით – 11 ქულითა და 13 მოხსნით დაასრულა.

**ოლიმპი-მგზავრები 87:70**

**(15:20, 21:17, 26:12, 25:21)**

აუტსაიდერთა მატჩი თანაბრად დაიწყო და პირველ ტაიმში ლიდერი ვერ გამოიკვეთა. საწყისი პერიოდის 20:15 მოგების შემდეგ მგზავრები მე-4 წუთისთვის 11 ქულით – 29:18 დაწინაურდა. ოლიმპელებმა თამაში მალევე გამოასწორეს და ჩამორჩენა ხომ გააბათილეს, დიდ შესვენებამდე ერთქულიანი ლიდერობით თავადვე გავიდნენ – 37:36.

მეორე ტაიმი რადიკალურად განსხვავებული გამოდგა. ოლიმპის მოთამაშეებმა მატჩის სადავეები ხელთ იგდეს და დარჩენილ დროში მეტოქეს წარმატების იმედი გადაუწურეს. მესამე მეოთხედი ოლიმპელებმა 26:12 მოიგეს, ხოლო ბოლო პერიოდში ლიდერობას 4 ქულაც მიამატეს და საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით – 87:70 იმარჯვეს.

გამარჯვებულებს 18 ქულით კახა ტომარაძემ ულიდერა. 16 ქულა და 5 პასი მოაგროვა რეზო როგავამ, ხოლო ირაკლი მიქელაძისა და ვალტერ პიჩფორდის ანგარიშზე 13-13 ქულა დაგროვდა.

მგზავრებში 15 ქულით, 8 მოხსნითა და 7 პასით საუკეთესო იყო დერნელ ტეილორი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 10 | 10 | 0 | 880-712 | 20 |
| 2.ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 827-763 | 18 |
| 3.რუსთავი | 9 | 6 | 3 | 713-715 | 15 |
| 4.კაკტუსი | 10 | 5 | 5 | 817-850 | 15 |
| 5.ბათუმი | 10 | 5 | 5 | 783-751 | 15 |
| 6.ოლიმპი | 10 | 2 | 8 | 676-697 | 12 |
| 7.მგზავრები | 10 | 1 | 9 | 709-836 | 11 |
| 8.სოხუმი | 9 | 2 | 7 | 740-821 | 11 |

# შედეგები

## 10 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ევერტონი ................. 3:2
არსენალი-სტოკი ......................... 3:1
ბარნლი-ბორნმუთი ...................... 3:2
ჰალი-კრ.პალასი .......................... 3:3
სუონსი-სანდერლენდი ................. 3:0
ლესტერი-სიტი ............................. 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 15 | 10 | 4 | 1 | 36-15 | 34 |
| 2.ჩელსი | 14 | 11 | 1 | 2 | 32-11 | 34 |
| 3.ლივერპული | 14 | 9 | 3 | 2 | 35-18 | 30 |
| 4.სიტი | 15 | 9 | 3 | 3 | 32-19 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 7.უოტფორდი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-26 | 21 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 9.ევერტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 19-19 | 20 |
| 10.სტოკი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-22 | 19 |
| 11.ბორნმუთი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-25 | 18 |
| 12.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-15 | 17 |
| 13.ბარნლი | 15 | 5 | 2 | 8 | 15-25 | 17 |
| 14.ლესტერი | 15 | 4 | 4 | 7 | 21-26 | 16 |
| 15.კრ.პალასი | 15 | 4 | 3 | 8 | 27-29 | 15 |
| 16.მიდლსბრო | 14 | 3 | 6 | 5 | 13-15 | 15 |
| 17.სუონსი | 15 | 3 | 3 | 9 | 19-31 | 12 |
| 18.ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 19.ჰალი | 15 | 3 | 3 | 9 | 14-32 | 12 |
| 20.სანდერლენდი | 15 | 3 | 2 | 10 | 14-27 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-უიგანი ...................... 1:0
ბარნსლი-ნორვიჩი ........................ 2:1
ბრენტფორდი-ბარტონი ................ 2:1
ჰადერსფილდი-ბრისტოლი ........... 2:1
იფსვიჩი-კარდიფი ......................... 1:1
ნიუკასლი-ბირმინგემი .................. 4:0
რედინგი-უენსდი .......................... 2:1
ვულვზი-ფულემი ........................... 4:4
როტერჰემი-ქპრ ........................... 1:0
პრესტონი-ბლექბერნი .................. 3:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-ბარსელონა ..................... 0:3
სოსიედადი-ვალენსია ................... 3:2
ლას პალმასი-ლეგანესი ................. 1:1
რეალი-დეპორტივო ....................... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 15 | 11 | 4 | 0 | 40-14 | 37 |
| 2.ბარსელონა | 15 | 9 | 4 | 2 | 37-15 | 31 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 4.სოსიედადი | 15 | 8 | 2 | 5 | 26-21 | 26 |
| 5.ატლეტიკო | 14 | 7 | 4 | 3 | 28-11 | 25 |
| 6.ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 7.ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 20-17 | 23 |
| 8.ლას პალმასი | 15 | 5 | 6 | 4 | 26-23 | 21 |
| 9.მალაგა | 15 | 5 | 6 | 4 | 24-22 | 21 |
| 10.ეიბარი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-19 | 21 |
| 11.სელტა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-26 | 21 |
| 12.ესპანიოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-17 | 19 |
| 13.ალავესი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-17 | 17 |
| 14.ბეტისი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-28 | 15 |
| 15.ლეგანესი | 15 | 4 | 3 | 8 | 12-26 | 15 |
| 16.დეპორტივო | 15 | 3 | 4 | 8 | 20-27 | 13 |
| 17.ვალენსია | 15 | 3 | 3 | 9 | 21-29 | 12 |
| 18.ხიხონი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-28 | 12 |
| 19.გრანადა | 15 | 1 | 6 | 8 | 14-31 | 9 |
| 20.ოსასუნა | 15 | 1 | 4 | 10 | 13-32 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-რაიო ......................... 0:1
ელჩე-ხეტაფე ............................... 2:2
უესკა-მურსია ............................... 5:2
ლევანტე-ტენერიფე ...................... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ვოლფსბურგი ................. 5:0
კიოლნი-დორტმუნდი ................... 1:1
ჰამბურგი-აუგსბურგი ................... 1:0
ინგოლშტადტი-ლაიპციგი ............ 1:0
ფრაიბურგი-დარმშტადტი ............ 1:0
ჰერტა-ვერდერი ........................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 10 | 3 | 1 | 34-9 | 33 |
| 2.ლაიპციგი | 14 | 10 | 3 | 1 | 29-12 | 33 |
| 3.ჰერტა | 14 | 8 | 3 | 3 | 22-14 | 27 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 8 | 0 | 25-14 | 26 |
| 5.აინტრახტი | 14 | 7 | 5 | 2 | 19-11 | 26 |
| 6.დორტმუნდი | 14 | 7 | 4 | 3 | 32-16 | 25 |
| 7.კიოლნი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-13 | 23 |
| 8.ფრაიბურგი | 14 | 6 | 1 | 7 | 18-25 | 19 |
| 9.შალკე | 13 | 5 | 2 | 6 | 18-15 | 17 |
| 10.ლევერკუზენი | 13 | 5 | 2 | 6 | 20-21 | 17 |
| 11.მაინცი | 13 | 5 | 2 | 6 | 23-25 | 17 |
| 12.აუგსბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-16 | 14 |
| 13.ვერდერი | 14 | 4 | 2 | 8 | 18-32 | 14 |
| 14.გლადბახი | 13 | 3 | 4 | 6 | 13-22 | 13 |
| 15.ვოლფსბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 16.ჰამბურგი | 14 | 2 | 4 | 8 | 11-27 | 10 |
| 17.ინგოლშტადტი | 14 | 2 | 3 | 9 | 11-24 | 9 |
| 18.დარმშტადტი | 14 | 2 | 2 | 10 | 11-27 | 8 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-მიუნხენ 1860 .................... 1:0
კაიზერი-აუე .................................. 0:0

**იტალია. სერია ა**

კროტონე-პესკარა ........................ 2:1
სამპდორია-ლაციო ....................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 12 | 0 | 3 | 32-13 | 36 |
| 2.რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 35-16 | 32 |
| 3.მილანი | 15 | 10 | 2 | 3 | 27-19 | 32 |
| 4.ლაციო | 16 | 9 | 4 | 3 | 29-17 | 31 |
| 5.ნაპოლი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| 6.ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 24-17 | 28 |
| 7.ტორინო | 15 | 7 | 4 | 4 | 31-19 | 25 |
| 8.ფიორენტინა | 14 | 6 | 5 | 3 | 22-16 | 23 |
| 9.სამპდორია | 16 | 6 | 4 | 6 | 20-22 | 22 |
| 10.ინტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-21 | 21 |
| 11.ჯენოა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-15 | 20 |
| 12.კალიარი | 15 | 6 | 2 | 7 | 23-32 | 20 |
| 13.კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 14-16 | 19 |
| 14.უდინეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 19-23 | 18 |
| 15.სასუოლო | 15 | 5 | 2 | 8 | 20-26 | 17 |
| 16.ბოლონია | 15 | 4 | 4 | 7 | 14-22 | 16 |
| 17.ემპოლი | 15 | 2 | 4 | 9 | 7-24 | 10 |
| 18.კროტონე | 16 | 2 | 3 | 11 | 14-30 | 9 |
| 19.პესკარა | 16 | 1 | 5 | 10 | 13-29 | 8 |
| 20.პალერმო | 15 | 1 | 3 | 11 | 11-29 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ლატინა ........................... 2:2
აველინო-ბენევენტო .................... 1:1
კარპი-ტერნანა ............................. 1:1
ჩეზენა-ჩიტადელა ........................ 3:0
ფროზინონე-სალერნიტანა ............ 1:3
პერუჯა-პრო ვერჩელი .................. 1:0
სპალი-სპეცია ............................... 2:1
ენტელა-ტრაპანი ......................... 2:2
ვიჩენცა-ვერონა .......................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

დიჟონი-მარსელი .......................... 1:2
ბორდო-მონაკო ........................... 0:4
ნანსი-ანჟე .................................... 2:0
ლილი-მონპელიე ......................... 2:1
ბასტია-მეცი ................................. 2:0
ტულუზა-ლორიანი ........................ 3:2
ნანტი-კაენი ................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 17 | 12 | 3 | 2 | 53-16 | 39 |
| 2.ნიცა | 16 | 12 | 3 | 1 | 30-10 | 39 |
| 3.პსჟ | 16 | 11 | 2 | 3 | 30-11 | 35 |
| 4.რენი | 16 | 8 | 3 | 5 | 18-19 | 27 |
| 5.გენგამი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-15 | 26 |
| 6.ლიონი | 15 | 8 | 1 | 6 | 28-18 | 25 |
| 7.ტულუზა | 17 | 7 | 4 | 6 | 21-18 | 25 |
| 8.მარსელი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-18 | 24 |
| 9.ბორდო | 17 | 6 | 6 | 5 | 20-22 | 24 |
| 10.სტ.ეტიენი | 16 | 5 | 7 | 4 | 16-14 | 22 |
| 11.ლილი | 17 | 6 | 2 | 9 | 17-22 | 20 |
| 12.ანჟე | 17 | 5 | 4 | 8 | 15-20 | 19 |
| 13.მონპელიე | 17 | 4 | 7 | 6 | 24-30 | 19 |
| 14.ნანსი | 17 | 5 | 4 | 8 | 14-22 | 19 |
| 15.მეცი | 16 | 5 | 3 | 8 | 16-31 | 18 |
| 16.ბასტია | 17 | 4 | 5 | 8 | 14-20 | 17 |
| 17.დიჟონი | 17 | 3 | 7 | 7 | 23-27 | 16 |
| 18.კაენი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 19.ნანტი | 16 | 3 | 4 | 9 | 9-26 | 13 |
| 20.ლორიანი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-32 | 12 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ზვოლე-ტილბურგი ........................ 0:0
ჰერენვენი-ექსელსიორი ............... 2:1
პსვ-იგლზი .................................... 1:0
ნაიმეგენი-დენ ჰააგი .................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-მარიტიმუ ............... 1:0
შავეში-მორეირენშე ..................... 2:1
ბოავიშტა-გიმარაეში ................... 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სტ.ჯონსონი ................. 0:0
ინვერნესი-ჰამილტონი ................. 1:1
მოზერველი-კილმანროკი ............ 0:0
რეინჯერსი-ჰართსი ...................... 2:0
დანდი-როსი ................................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ლოზანა .......................... 1:1
ბაზელი-სტ.გალენი ...................... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-ადმირა ................. 2:0
ალტახი-ვოლფსბერგერი ............. 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

მუსკრონი-მეხელენი ..................... 1:4
კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი ........... 0:1
ეუპენი-შარლერუა ....................... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ვერია ........................... 0:0
ქსანთი-ლარისა ............................ 1:0
აეკი-ლევადიაკოსი ....................... 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქაშიმფაშა ........................... 0:1
ბეშიქთაში-ბურსა ......................... 2:1
გენჩლერი-ბაშაქშეჰირი ................ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-ნეცეჩა ............................. 3:0
პლოცკი-რუხი .............................. 4:3
ვისლა-კრაკოვია .......................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვოლინი-ვორსკლა ........................ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-სილკებორგი ................ 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ დავიცვათ ბავშვები გრიპისგან

ეკა ირემაშვილი

ზამთრის დადგომასთან ერთად, ბავშვებში გრიპის შემთხვევებმა იმატა. საავადმყოფოებსა და სამედიცინო კლინიკებს სულ უფრო მეტი მშობელი აკითხავს გრიპით დაავადებულ პატარებთან ერთად.

როგორ დავიცვათ ბავშვები გრიპისა და დაავადების გართულებებისგან? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ პედიატრი **ხათუნა კოჭლამაზაშვილი** ესაუბრა.

**ხათუნა კოჭლამაზაშვილი:**

– იმისთვის, რომ პატარები გრიპით არ დაავადდნენ, უპირველესად, ისინი მასობრივი თავშეყრის ადგილებს უნდა მოვარიდოთ, რადგან გრიპის გადადების პროცესი სწორედ იქ მიმდინარეობს. ამაში იგულისხმება ბაღი და სკოლა პირველ რიგში, შემდეგ ტრანსპორტი და დახურული მასობრივი თავშეყრის სივრცეები.

გაცილებით ნაკლები შანსია გრიპით დაავადებისა ქუჩასა და ღია სივრცეში, რადგან იქ კონცენტრაციის განზავება ხდება.

ინფექციური დაავადებები არის კონტაქტური და ჰაერწვეთოვანი. გრიპი სწორედ ჰაერწვეთოვანი ინფექციაა და ის ჰაერით გადაეცემა, კონტაქტური კი არის სალმონელა, ნაწლავის ჩხირი, რომლითაც ინფიცირდება ხელი და, თუ ამ ხელით ბავშვი შეჭამს, დაავადდება კიდეც.

*– ჰაერწვეთოვანი ინფექციური დაავადების დროს პირბადე იცავს?*

– პირბადე შედარებით იცავს, მაგრამ არც ეს არის 100-პროცენტიანი. პირბადეს სწორად უნდა მოხმარება. ის რაც შეიძლება ხშირად უნდა იცვალოს.

ჯანმრთელი ბავშვის ორგანიზმში გრიპის ვირუსი შეიძლება შეიჭრას ჰაერწვეთოვანი გზით. ავადმყოფის სასუნთქი გზებიდან გამოყოფილი სეკრეტი ლაპარაკის, ხველების, ცხვირცემინების დროს ჰაერში რამდენიმე წუთის განმავლობაში რჩება. ჯანმრთელი ორგანიზმის დასაინფიცირებლად საჭიროა შედარებით ახლო კონტაქტი. ვირუსის გადაცემა შესაძლებელია აგრეთვე საწოვარის, სათამაშოების, ჭურჭლისა და სხვა საგნების მეშვეობით.

*– როგორია ბავშვებში გრიპის მკურნალობის თავისებურებები?*

– რაც უნდა მსუბუქი ფორმით მიმდინარეობდეს დაავადება, აუცილებელია ექიმის გამოძახება, მდგომარეობის შეფასება და სათანადო მკურნალობის დანიშვნა. ავადმყოფის საავადმყოფოში გადაყვანა საჭიროა, თუ გრიპი მძიმედ მიმდინარეობს ან გართულებული ფორმითაა. თუ გრიპით დაავადებული ბავშვი სახლში გვყავს, ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა ოთახის ხშირი განიავება, კალორიული საკვების, რძისა და მისი ნაწარმის, ბოსტნეულის, ხილის წვენების, ხილის, დიდი რაოდენობით სითხის მიღება. მაღალი სიცხის, თავისა და კუნთების ტკივილის მოსახსნელად ეფექტურია ბევრი სითხე.



ხათუნა კოჭლამაზაშვილი

პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგია ვიტამინების მიღება, სასურველია ხილის და ბოსტნეულის სახით, რადგან საკვებით მიღებული ვიტამინი ორგანიზმში დიდხანს რჩება, მედიკამენტით მიღებული ვიტამინი კი – არა.

ა და ბე ვირუსებით გამოწვეული გრიპი, ფაქტობრივად, ერთგვაროვნად მიმდინარეობს. კლინიკური მიმდინარეობის თავისებურება ასაკზეა დამოკიდებული.

*– არის განსხვავება გრიპით დაავადებულებში ასაკის მიხედვით?*

– ახალშობილებსა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გრიპი იწყება თანდათანობით, ტემპერატურის უმნიშვნელო მატებით.

*– რა გვეტყვით აქტიურ და პასიურ იმუნიზაციასთან დაკავშირებით?*

– როდესაც დაავადება რთულდება, მაშინ ვაქცინაა აუცილებელი, ანტისხეულები, რომლებიც ებრძვიან ვირუსს ორგანიზმში. ეს არის პასიური იმუნიზაცია.

აქტიური იმუნიზაციის დროს წინასწარ ხდება აცრა და იმუნიტეტი გამომუშავდება. აცრები საჭიროა იმისთვის, რომ ავადმყოფმა დაავადება უფრო იოლად გადაიტანოს.

აცრები ტარდება წითელას, წითურასა და ჩუტყვავილაზეც. ამ დროს ბავშვს უფრო მარტივად გადააქვს ესა თუ ის ინფექციური დაავადება.

*– აცრების მიმართაც იყოფა აზრი. ბევრი წითელაზე, წითურაზე, ჩუტყვავილაზეც კი არ ცრის შვილებს.*

– ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ. ალბათ, მშობლებს იმის შიში აქვთ, რომ საეჭვო ვაქცინები არ შემოგვთავაზონ, მაგრამ ვაქცინები ნამდვილად არ არის საშიში.

*– რა განსხვავებაა ფასიან და უფასო ვაქცინას შორის?*

– ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ ფასიანი ვაქცინა უფრო ეფექტურია, ვიდრე უფასო. არადა, შეიძლება, სულაც არ იყოს ისე, რომ ფასიანი კარგია და უფასო – ცუდი.

*– როგორ დავიცვათ ჩვენი პატარები გრიპისგან?*

– ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკასა და ავადმყოფის მოვლას.

*– მოგვეცით ყველაზე საჭირო და აუცილებელი რჩევები იმისთვის, რომ ბავშვებს მაქსიმალურად ავარიდოთ გრიპი.*

– უპირველესი რჩევაა ბავშვის გაკაჟება და იმუნიტეტის ამაღლება ხილითა და ბოსტნეულის საშუალებით, ჯანსაღი კვებით.

მაქსიმალურად უნდა მოვარიდოთ ბავშვები ეპიდემიურ კერებს. გრიპის სეზონზე, მით უმეტეს, ეპიდემიის დროს, ნუ ატარებთ თეატრებში, ბავშვთა გასართობ ცენტრებში. თუ გამოუვალი მდგომარეობაა და მაინც მოუწევთ ასეთ ადგილებში სიარული, ვატაროთ ნიღბით. ხშირად ასეირნეთ სუფთა ჰაერზე მზიან, უქარო ამინდში, მიაჩვიეთ ხელების ხშირად დაბანას.

ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიგიენური ნორმების დაცვა, ხელების საპნით ხშირი დაბანა და ოთახების ხშირი განიავება. როცა ბავშვი დაავადებულია და სახლში წევს, ოთახი ხშირად უნდა გავანიავოთ და, რადგან ამ ვირუსების კარგი გარემო მტვერია, საჭიროა ოთახის სველი წესით დალაგება. მტვერსასრუტი ნამდვილად კარგია, მაგრამ სველი წესით დალაგება უმჯობესია.

## კალეიდოსკოპი

### ამერიკაში ქურდი სავენტილაციო მილში გაიჭედა

აშშ-ში პოლიციამ დააკავა ქურდი, რომელიც ცდილობდა რესტორანში სავენტილაციო მილიდან შეეღწია, მაგრამ მასში გაიჭედა.



ინციდენტი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში მოხდა. ადგილობრივ მცხოვრებლებს მამაკაცის ტირილის ხმა შემოესმათ და პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი პიცერიის სახურავზე მილში იპოვეს. მის გასათავისუფლებლად მეხანძრეების გამოძახება გახდა საჭირო.

ადგილობრივი სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილეს თქმით, ქურდმა შიგნით შეღწევა იმის გამო ვერ შეძლო, რომ მილი რესტორნის სამზარეულოსთან ვიწროვდებოდა. მან ასევე დაამატა, რომ თავისი 17 წლის სამსახურის მანძილზე, მსგავს შემთხვევასთან შეხება არ ჰქონია.

ეჭვმიტანილს უმნიშვნელო დაზიანება მიადგა. მილიდან განთავისუფლების შემდეგ, მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც საპატიმროში გადაიყვანეს. მამაკაცს ბრალი წაუყენეს შენობაში უკანონოდ შეღწევაში, ხულიგნობასა და ქურდობისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტების ფლობაში.

### კენდალ ჯენერმა ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა

სუპერმოდელმა კენდალ ჯენერმა, ამერიკელი ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის დამ, ლოვ მეგეზინისთვის გამართულ ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა, რომლის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ინსტაგრამში გამოცემის გვერდზეა განთავსებული.



ფოტოგადაღებას ნიუიორკელი ფოტოგრაფი ჰაიპ უილიამსი აწარმოებდა. ფოტოსესიის დროს კენდალი საცვლებსა და ჩექმებში იყო გამოწყობილი.

შეგახსენებთ, რომ კენდალ ჯენერი ამერიკელი მოდელია, რომელიც პოპულარულ რეალიტი-შოუში „კარდაშიანების ოჯახი“ და სხვა ტელეპროექტებში მონაწილეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### ტურისტების მიერ ნაკვები ციყვები აღარ მრავლდებიან

ჩინეთის ქალაქ ხანჩჟოუს ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ციყვები ისე გამოკვებეს, რომ ცხოველები სიმსუქნისგან იტანჯებიან და ვეღარ მრავლდებიან.



ზოოპარკის დამთვალიერებლები მუდმივად აძლევენ საკვებს ციყვებს, რაც არცთუ სახარბიელო გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე. დაწესებულების თანამშრომლების თქმით, ციყვებს მათთვის მავნე საკვებით უმასპინძლდებიან, რის გამოც ცხოველები წონაში იმატებენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემა მიმდინარე წლის იანვარში დიდ ბრიტანეთშიც შენიშნეს.

ჩინელი მკვლევრების შეშფოთებას არ იზიარებს ონტარიოს (კანადა) სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელი დევიდ შუგარმენი, რომელიც მიიჩნევს, რომ ციყვების მიერ წონის მატება სიცივეების დადგომას უკავშირდება.

– მალე დადგება ზამთარი და ისინი წონაში დაიკლებენ, – განაცხადა შუგარმენმა.

### სან-ფრანცისკოს აეროპორტში მგზავრებს ღორი ხვდება

სან-ფრანცისკოს საერთაშორისო აეროპორტმა სამსახურში აიყვანა „ფსიქოტერაპევტული“ ღორი. მის მოვალეობას წარმოადგენს მგზავრებთან მისალმება და მათთვის სტრესის მოხსნა.



ლაქებიანი ღორი, სახელად ლილუ, შეუერთდა ე.წ. აეროპორტის „კუდიანთა ბრიგადას“, რომელშიც შედის 20-ზე მეტი ძაღლი. მას გამოუყვეს ფორმის ჟილეტი, დამშვენებული წარწერით „მომეფერეთ“, ასევე კანა და ქუდი.

ძაღლები სან-ფრანცისკოს აეროპორტში 2013 წლიდან მორიგეობენ. ცხოველები თავიანთ მწვრთნელებთან ერთად ტერმინალებში დასეირნობენ და სხვადასხვა ილეთს ასრულებენ. მიიჩნევა, რომ ეს დაღლილ მგზავრებს განწყობის ამაღლებაში ეხმარება.

ლილუ მგზავრებს თავისი დინგით ესალმება, ასევე იქნევს ფეხს, ტრიალებს, დგება უკანა ფეხებზე და უკრავს სათამაშო პიანინოზე, ხოლო თავისი გამოსვლის დასრულების შემდეგ მაყურებლებს თავს უკრავს.

– აშკარაა, რომ მას ახარებს სხვადასხვა ილეთის შესრულება და ამის გამო შექება, – აცხადებს ღორის პატრონი ტატიანა დანილოვა, რომელიც ლილუს ფოტოსურათებს რეგულარულად აქვეყნებს ინსტაგრამში.

## სკანვორდი



1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. ციტრუსი; 3. იგივეა, რაც აირი; 4. ხვეწნა, მუდარა (ძვ.); 5. მკვრივი დეკორატიული ქსოვილი; 6. დაკოდილი ცხენი; 7. საკონდიტრო ნაწარმი; 8. ნელი ტემპი მუსიკაში; 9. უბანი ქუთაისში; 10. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი გოგო; 11. ... ბრძენი; 12. ფინური აბანო; 13. ... იყალთოელი; 14. ქალაქი რაჭაში; 15. გოფრედო... (იტალიელი მწერალი); 16. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 17. ფრანგული ავტომობილი; 18. ... -კლარჯეთი; 19. ცდის გარეშე; 20. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო; 21. მარე ავსტრიაში; 22. დროშა; 23. ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 24. ... ფეროუ; 25. ქცევის თავისებურება; 26. ფარაონების ღვთაებრივი მშობელი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 27. თეატრის კოლექტივი; 28. მდინარე იტალიაში; 29. ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 30. ლარნაკი; 31. გადამდები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:**1. იორდანია; 2. რამლი; 3. ბრუკლინი; 4. ხორუმი; 7. სქური; 9. თრუსო; 9. არმსტრონგი; 14. შირაქი; 15. ისტმენი; 17. ფორნებუ; 20. ფიალა.

**თარაზულად:** 5. პოტომაკი; 6. ბარცინო; 8. ქულბაქი; 10. ბოროდინი; 11. ფიგარო; 13. გეიზერი; 16. ფონეტიკა; 18. კოქტო; 19. ატენი; 21. აიაქსი; 22. ენდშპილი; 23. ათაბაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რაგბი; 2. ზვარე; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. დუყი; 6. ინგლისი; 9. პიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოროჟიე; 14. ბაფტა; 16. ლხასა; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. სოდა; 24. ფურია; 25. ჰეიგი; 26. ყანა.

**თარაზულად:** 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. ბაქია; 15. ლიტვა; 17. ფონოგრამა; 19. ფშავი; 21. იფქლი; 28. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

## ასტროპროგნოზი 12 დეკემბრისათვის



**ვერძი** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა ცხოვრებას გაგირთულებთ. კოლეგებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა ჩიხში შედის. **კურო** – ფინანსურ საქმეებში სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – პასიური დღეა. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. ახლობლებზე გადამეტებული ზრუნვა სავალდებულო არ არის. **კირჩხიბი** – საქმიანი ურთიერთობებისათვის ერთობ კეთილისმყოფელი დღეა. კონფლიქტურ სიტუაციებს თავს იოლად დააღწევთ. **ლომი** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნაჩქარევად ნუ მიიღებთ, თორემ სერიოზულ შეცდომას დაუშვებთ. იოლად ნურავის მიენდობით და ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – საკუთარ პოზიციებს მარტივად ნუ დათმობთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა აკონტროლეთ. **სასწორი** – მივლინებებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შესაფერისი პერიოდია. გქონდეთ პატიების უნარი. **ღრიანკალი** – სარისკო ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ. თუ კეთილგონიერებას გამოიჩენთ, მრავალ უსიამოვნებას თავიდან აიცილებთ. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით აღმავლობას განიცდით. გიმახვილდებათ ინტუიცია. დღის ნეგატიურ ტენდენციებს სულიერი წონასწორობა აბათილებს. **თხის რქა** – ახალ საქმეს ნუ დაგეგმავთ. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ნერვებს გაუფრთხილდით. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა ხანმოკლე მოგზაურობისა და საქმიანი შეხვედრებისათვის. კოლეგებსა და მეგობრებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. **თევზები** – სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. კარგი დღეა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# თინა მახარაძე სახალხო სიშიშვლით იმუქრება



მსახიობი თინა მახარაძე სახალხო სიშიშვლით იმუქრება. ამის მიზეზი ინტერნეტში სვანეთის ფონზე გადაღებული შიშველი ბიჭის ფოტოს გამოჩენაა.

ფოტოს გავრცელებიდან რამდენიმე დღეში სოციალურ ქსელში ვიდეო გავრცელდა, სადაც ამ ბიჭს სვანებმა ბოდიში საჯაროდ მოახდევინეს. ვიდეოსაც და ფოტოსაც საზოგადოების არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

თინა მახარაძემ შიშველ ბიჭს სოლიდარობა გამოუცხადა და პირობა დადო, რომ თუკი ამ ბიჭზე მოძალადეები არ დაისჯებიან, სახალხოდ გაშიშვლდება.

**თინა მახარაძე:**

– ის ბიჭი, რომელსაც „აღიარებითი ჩვენება“ მიაცემინეს, არის კლასიკური ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე უნდა დაისაჯოს თითოეულ იმ ადამიანთან ერთად, რომლებმაც ძალადობის ეს აქტი განახორციელეს და თუ ამ ტიპისა და მისი თანამეინახეების წინააღმდეგ არ იქნება შესაბამისი ზომები მიღებული, რაც ერთადერთი გზაა იმისთვის, რომ მათი დაუსჯელობის სინდრომი გაქარწყლდეს, შემდგომში თვალებახვეულ ადამიანებს თავები არ წააცალონ და სხვა მათნაირი გონებაჩლუნგი აგრესორებისთვის მაგალითები არ იყვნენ, მე, პირადად, ჩემს ბევრ მეგობართან ერთად, მივმართავ პარტიზანული სიშიშვლის აქციას და გავიხდი ყველგან, სადაც მსგავს ტიპებს თავიანთი ულვაშის ლუსკუმები ელანდებათ.

# ნატა გულიაშვილს ქმარი გაშორდა



მსახიობმა ნატა გულიაშვილმა პროექტში „შენ შეგიძლია ცეკვა“ მიიღო მონაწილეობა და მისი გამოსვლა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მან ჟიურისგან უარყოფითი შეფასებები მიიღო. განაწყენებულმა მსახიობმა შოუს ხელმძღვანელობა ჩაწყობაში დაადანაშაულა. ნატა გულიაშვილს ინტერნეტშიც დასცინეს და მის მიმართ კრიტიკა არ დაიშურეს.

მსახიობის მიერ დადგმული საცეკვაო ნომერი მიუღებელი აღმოჩნდა მისი მეუღლისთვისაც. პროექტში მონაწილეობა მას ოჯახის დანგრევის ფასად დაუჯდა – ნატა გულიაშვილი მეუღლეს გაშორდა.

როგორც მსახიობმა განმარტა, მისი მეუღლე თავიდანვე წინააღმდეგი იყო ნატას პროექტში მონაწილეობისა. როდესაც პროდიუსერებმა შოუში მონაწილეობა შესთავაზეს, ქმარმა მას უარის თქმა ურჩია, თუმცა ნატამ თავისი გაიტანა და სპეციალური ნომერი დადგა.

მიუხედავად იმისა, რომ ნატა გულიაშვილი მეგობრებმა გაამხნევეს და კრიტიკის ღირსეულად გაძლება უსურვეს, მეუღლე მას გაებუტა და შერიგებაზეც უარი განუცხადა:

– აღარ მირიგდება ჩემი ქმარი, წამოვედი მისი სახლიდან, – განაცხადა მსახიობმა.

# ანი ღონღაძის მანქანა გაქურდეს



ბოლო პერიოდში ცნობილი სახეების მანქანებს ქურდები შეეჩვივნენ. მსხვერპლთა რიცხვში მოხვდა მომღერალი ანი ღონღაძეც.

მის მერსედესის მარკის მანქანას ბოროტმოქმედებმა სარკეები მოჰპარეს. შემთხვევა კეკელიძის ქუჩაზე მოხდა. ანის მანქანასთან ერთად დამნაშავეებმა 20-30 მანქანის სარკეებიც მოიპარეს.

მოპარული სარკეების შესახებ მომღერალმა მას შემდეგ შეიტყო, რაც დილით ეზოში ჩასულმა საკუთარი მანქანა ნახა. ანის მეუღლე, ფეხბურთელი გიორგი თექთურმანიძე, რომელსაც ყველა ჩიორას ეძახის, რეაბილიტაციაზე უნდა წაეყვანა.

# დავით დოიაშვილმა რუმინეთში „მეფე ლირი“ დადგა



რუმინეთში, ბუქარესტის ნაციონალურ თეატრში, ქართველმა რეჟისორმა დავით დოიაშვილმა „მეფე ლირი“ დადგა.

უილიამ შექსპირის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი რუმინული მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა. რუმინეთის პრესა და ტელევიზია ქართველი რეჟისორის მიერ განხორციელებულ სპექტაკლს აქტიურად აშუქებს. რუმინეთის არხებზე ტრიალებს „მეფე ლირის“ პრემიერისადმი მიძღვნილი სპეციალური ვიდეორგოლი.

სპექტაკლს დავით დოიაშვილი ბუქარესტის ნაციონალურ თეატრში უკვე ერთ თვეზე მეტია დგამს. მეფე ლირის როლს რუმინელი მსახიობი მიჰაი კონსტანტინი ასრულებს. წარმოდგენისთვის მუსიკა ნიკოლოზ რაჭველმა დაწერა. ის ორჯერ გახდა წლის საუკეთესო კომპოზიტორი ხორვატიის თეატრის აკადემიის დაჯილდოებაზე, ერთხელ სპექტაკლ „მაკბეტის“ მუსიკისათვის და მეორედ მუსიკისათვის სპექტაკლისა „ცხოვრება იდიოტისა“.

რუმინული პრესა წერს, რომ დავით დოიაშვილის „მეფე ლირისადმი“ მოლოდინი განსაკუთრებულად დიდია, რადგან წარმოდგენა სიახლეებითა და სიურპრიზებით არის სავსე.

# ქართველ მომღერლებს პოლონეთში ფორტეპიანო ბოქლომით ჩაკეტილი დახვდათ



პოლონეთში ჩასულმა ქართველმა მომღერლებმა რეპეტიციის გავლა მეტად უცნაური მიზეზის გამო ვერ შეძლეს – მათ ფორტეპიანო ბოქლომით ჩაკეტილი დახვდათ.

– როგორ გვჭირდებოდა რეპეტიცია, მაგრამ... თუ არ გინდათ, უცხომ თქვენს ინსტრუმენტზე დაუკრას, შეგიძლიათ, პოლონელების გამოგონებით ისარგებლოთ, – განაცხადა ქართველმა მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა, რომელიც ვარშავაში კონცერტების ჩასატარებლად კოლეგებთან ერთად ჩავიდა.

# ქართული საბალეტო დასი ესპანეთში გასტროლებს მართავს

ესპანეთში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლები დაიწყო. სპექტაკლები გაიმართება ქალაქებში პამპლონა, ლეონი, ვიტორია, ალიკანტე და ლოგრონო.

საბალეტო დასი გასტროლებზე მაყურებელს უჩვენებს პეტრე ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქციითა და დადგმით და იგორ სტრავინსკის „ფასკუნჯს“ მიხეილ ფოკინის ქორეოგრაფიით, ანდრის ლიეპას რედაქციითა და დადგმით. პროგრამაში ასევე შეტანილია ირჟი კილიანის ერთმოქმედებიანი ბალეტი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის გასტროლები ესპანეთში 18 დეკემბერს, ქალაქ ლოგრონოში „მაკნატუნას“ წარმოდგენით დასრულდება.

საქართველოს სახელმწიფო ბალეტი, ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, მეხუთე წელია თანამშრომლობს ესპანელ პროდიუსერებთან და ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში ყოველწლიურად მართავს სპექტაკლებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### ავსტრალიელმა კოალა დახრჩობას გადაარჩინა



ავსტრალიის ვიქტორიის შტატში ველოგარბენის ვოლონტიორმა კოალა დახრჩობას გადაარჩინა.

ავსტრალიელმა, სახელად მუზამილ პატელმა, შენიშნა, რომ ცხოველი მდინარეში იყო ჩავარდნილი და მის დასახმარებლად წყალში ჩახტა.

– სხვა ვარიანტი არ იყო, – განმარტა მან ჟურნალისტებთან საუბარში, – უნდა ჩავრეულიყავი და კოალა გადამერჩინა. ის ისე გამოიყურებოდა, რომ სადაცაა ჩაიძირებოდა.

მამაკაცმა ცხოველს ტოტი გაუწოდა და ნაპირთან ახლოს მიიყვანა, რის შემდეგაც წყალში შევიდა, მომენტი შეარჩია და ცხოველს ხელი ქეჩოში ჩაავლო, რომ მას ის ბრჭყალებით არ დაეფხაჭნა.

მუზამილმა და მისმა მეგობრებმა გადარჩენილ კოალასთან ერთად სურათი გადაიღეს, რის შემდეგაც ის ნაპირზე დატოვეს და წავიდნენ, ხოლო როდესაც უკან მობრუნდნენ, ცხოველი იქ აღარ დახვდათ.

### ამერიკელი სხვის საძინებელში შესაჭვრეტად კვადროკოპტერს იყენებდა



ამერილის იუტის შტატის ქალაქ ორემის პოლიციამ დაიჭირა კვადროკოპტერი, რომელიც უცხო ადამიანების ბინების საძინებელი ოთახებისა და ტუალეტების ფანჯრების წინ ჩერდებოდა და იქ მომხდარს იღებდა.

დრონი ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა საკუთარი ბინის ფანჯრის წინ შენიშნა. აპარატი შეეცადა, მიმალულიყო, მაგრამ მამაკაცი გამოეკიდა. საბოლოოდ კვადროკოპტერი ეკლესიის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე დაფრინდა და პოლიციელებს ჩაუვარდა ხელში. აღმოჩენა პირისა, რომელიც დისტანციურად მართავდა უპილოტო საფრენ აპარატს, ვერ მოხერხდა.

დრონში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერის მეხსიერების ბარათზე გამომძიებლებმა უამრავი ვიდეო აღმოაჩინეს, რომლებიც ტუალეტებისა და საძინებლების ფანჯრებიდან იყო გადაღებული.

ერთი ვიდეორგოლის კადრში მოხვდა აპარატის მფლობელი. პოლიციაში ამტკიცებენ, რომ ეჭვმიტანილი იცნეს. წარსულში ის ვუაირიზმისთვის იყო გასამართლებული. სამართალდამცავებმა მას ფეისბუქით მიმართეს და ნებაყოფლობით ჩაბარება შესთავაზეს.


# ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს.

ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედტექნიკა“**

**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**ფასი 35 ლარი**


### კიმ კარდაშიანის ტრანსგენდერი მამინაცვალი დედა გახდება



ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანის მამინაცვალი, რომელმაც სქესი შეიცვალა და კეიტლინ ჯენერი დაირქვა, მომავალ წელს დედა გახდება. ამ ინფორმაციას კარდაშიანების ოჯახთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ერთ-ერთი ონლაინგამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 67 წლის ჯენერი „ასი პროცენტით მზადაა დედობისთვის“.

– კეიტლინი გეგმაზომიერად მიდის თავისი მიზნის – დედობისკენ. მას უფრო ბიოლოგიური დედობა იზიდავს და არა ბავშვის აყვანა, – განაცხადა ინფორმატორმა.

აღსანიშნავია, რომ ერთადერთ გართულებას სუროგატი დედის შერჩევა წარმოადგენს. ინფორმატორის მონაცემებით, ჯენერს სურდა, სუროგატი დედობის კანდიდატთან ერთად ეცხოვრა, რათა ფეხმძიმობით დატკბობის საშუალება მისცემოდა.

– ის ცდილობს, მოვლენები არ დააჩქაროს, მაგრამ, ამავე დროს, სურს, დედა მომავალი წლის ბოლომდე გახდეს, – განაცხადა ინფორმატორმა.

შეგახსენებთ, რომ ჯენერმა სქესის შეცვლის თაობაზე განცხადება 2015 წელს გააკეთა. მას ადრე ბრიუსი ერქვა და ათჭიდში 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ორშაბათი 12 დეკემბერი**

**07.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00** უეფას ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში მონაწილე გუნდების კენჭისყრა (ნიონიდან) **15.35** სპორტული გადაცემა **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**კედრის ყური**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**ბორცვებისა და ველების ქვეყანა**" (ვ.ჰარელსონი) **02.00** "რეალური სივრცე" **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **09.00** დ/ფ "ეფლი" **09.50** მხ/ფ "**ტურის დღე**" **12.10** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **23.00** "მოამბე" (3 ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **23.00** მხ/ფ "**შეუჩერებელნი 2**" **00.40** მხ/ფ "**სისხლის და თაფლის მხარეში**" **03.05** მხ/ფ "**მოკალი ნაზად**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნიჭიერი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **00.00** მხ/ფ "**ოუშენის თერთმეტი მეგობარი**" **02.15** მხ/ფ "**სიკვდილის კოცნა**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-როგორ გახდა უმოწყალო კაცი მოწყალე **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.30** მხ/ფ "**ლომა დავიწყებული მეგობარი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "სპილენძი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი **16.55** სპექტაკლი "**საქართველოს უკანასკნელი დედოფალი**" **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში (ციკლური გადაცემა) **20.40** ძილი ნებისა "იესო ქარიშხალს აცხრობს" **21.30** პატერიკი-იძულებით მტირალის შესახებ **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა (ციკლური გადაცემა) **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იეზეკიელი IX ნაწ. (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **00.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება) **01.00** დ/ფ "წმ. ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა"

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" " **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

12 დეკემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.5887 |
| ევრო | 2.7474 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2636 |
| 100 რუსული რუბლი | 4.1072 |

**ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისთვის**





## 13 დეკემბრიდან




სერია „ლიტერატურული ოდისეის“ წიგნი

უილიამ გოლდინგი

**ბუზთა ბატონი**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 8 დეკემბრიდან




**ალადინი**

64 ფერადი გვერდი, მაგარი ყდა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 6 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



შტეფან ცვაიგი

**მოუთმენლობა გულისა**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## იუმორი



ცოლი ქმარს ეკითხება:

– დღეს ხელფასის მოცემას არ აპირებ?

– არა, დღეს თავი მტკივა.

•••

დილით ადრე აფთიაქში ახალგაზრდა მამაკაცი შედის და აფთიაქარს ეუბნება:

– უძილობის საწინააღმდეგო საშუალება მომეცით!

– რომელი?

– ფეხმძიმობის ტესტი.

•••

ახალგაზრდამ ვერ გადაწყვიტა, რა უყიდოს დაბადების დღეზე თავის შეყვარებულს და დედას ეკითხება:

– დედა, ხვალ რომ დაბადების დღე გქონდეს და თვრამეტი წლის ხდებოდე, საჩუქრად რას ისურვებდი?

– მეტს არაფერს, – ამოიოხრა დედამ.

•••

ოჯახმა გადაწყვიტა, ბინაში ახალი შპალერი გაეკრა. ცოლი ქმარს ეუბნება:

– ჩადი ქვედა სართულზე ჩვენს მეზობლებთან, მათ ახლახან დაასრულეს „რემონტი“ და ჰკითხე, რამდენი შეკვრა იყიდეს.

ქმარი მალე ამოვიდა და ეუბნება:

– 16 უყიდიათ.

იყიდეს 16 შეკვრა, გააკრეს, 5 დარჩათ. ქმარი დაბლა მეზობელს შეხვდა და ეკითხება:

– ვერაფრით გამიგია, ერთნაირი ბინები გვაქვს და 5 შეკვრა შპალერი დაგვრჩა.

– ნუ ნერვიულობ, ყველაფერი ნორმალურადაა, ჩვენც ზუსტად 5 შეკვრა დაგვრჩა.

•••

ბიჭები გოგონებს ეუბნებიან:

– გოგონებო, დღეს გესტუმრებით.

– მაშინ სასმელი თქვენზეა!

– კარგი, საჭმელი და ქალები კი – თქვენზე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## სერია „ცამეტის“ წიგნი




9 დეკემბრიდან

აირა ლევინი

**როზმარის შვილი**

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს


# სამტრედია ჩემპიონია, ბათუმის დინამოს მესამე ადგილი და ევროსაგზური ერგო




**ჩიხურა-სამტრედია 2:2**

**(პირველი მატჩი 0:2)**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 არაბული (42პ), 0:2 დათუნაიშვილი (60), 1:2 დეკანოიძე (83), 2:2 ლობჟანიძე (90პ)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, გრიგალაშვილი, განუგრავა (დეკანოიძე 46), ლობჟანიძე, სარდალიშვილი, კორიფაძე, კაკუბავა, ლექვთაძე, კაშია, რეხვიაშვილი, მუმლაძე (გაბედავა 46)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე (იმედაშვილი 78), შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, არაბული (მარკოზაშვილი 73), რაჟამაშვილი (გამყრელიძე 65), ზივზივაძე, ჯიქია

საქართველოს ახალი ჩემპიონი რომ ეყოლებოდა, ეს დიდი ხნის წინ ვიცოდით, თუმცა, გასარკვევი იყო, ვინ იქნებოდა. სამტრედიელებს პირველ მატჩში საკმაოდ კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ ეს ბოლომდე დამშვიდების უფლებას არ აძლევდათ. საკუთარ მოედანზე მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების (2:0) შემდეგ სამტრედიელებმა თბილისურ შეხვედრაში უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს და გარდამავალი ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ.

დინამო არენაზე ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გაიხსნა. ბუდუ ზივზივაძემ 42-ე წუთზე 11-მეტრიანი მოიპოვა, რომელიც გოლად ბაჩანა არაბულმა აქცია და სამტრედია შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდა.

მე-60 წუთზე ჩემპიონის ვინაობა უკვე ცნობილი იყო – სამტრედიელთა სწრაფი კონტრშეტევა გიორგი დათუნაიშვილმა დაასრულა ზუსტი დარტყმით, რომელსაც ასისტენტობა ბუდუ ზივზივაძემ გაუწია.

დარჩენილ წუთებში საჩხერელებს 5 გოლის გატანა სჭირდებოდათ, თუმცა რაც მოახერხეს ის იყო, რომ ჯერ ბესიკ დეკანოიძემ შეამცირა სხვაობა, ხოლო 90-ე გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ლაშა ტალახაძე და ანასტასია გოტფრიდი ევროპის ჩემპიონები გახდნენ



ისრაელის ქალაქ ეილათში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წევრებმა ლაშა ტალახაძემ და ანასტასია გოტფრიდმა ოქროს მედლები მოიპოვეს. სულ კი ჯამში ნაკრებმა 22 მედალი მოიპოვა.

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მძიმეწონოსანმა ლაშა ტალახაძემ 2016 წლის განსაკუთრებით წარმატებული სეზონი კიდევ ერთი ტიტულით დახურა.

ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და რეკორდსმენმა 23 წლამდე პირველობა ოქროს მედლით (ასევე 2 მცირე ოქრო ატაცსა და აკვრაში) და ახალი რეკორდით დაასრულა.

ლაშამ პირველი მოძრაობა ატაცი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით – 205 კილოგრამით დაასრულა, მეორე მცირე ოქროს 235-კილოგრამიანი შტანგის აკვრით დაეუფლა, ორჭიდში კი 440 კილოგრამი მოაგროვა და უახლოეს მდევარს, რუს ანტონ სავჩუკს 42 კილოგრამით აჯობა.

20 წლამდე გოგონათა შორის +75 კილოგრამ წონით კატეგორიაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ანასტასია გოტფრიდი. გოტფრიდმა ატაცში 118 კგ დააფიქსირა, აკვრაში – 133 კგ. ჯამში კი მისი შედეგი 251 კილოგრამი იყო.

20-წლამდელებში, 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში, 2 წარმომადგენელი გვყავდა – დათო ხეცურიანი და გიორგი ჩხეიძე.

ატაცში ხეცურიანი 171 კილოგრამით მეორე ადგილზე გავიდა. აკვრაში დათომ 206 კილოგრამით მეორე ვერცხლი ირგუნა და ორჭიდშიც მეორე ადგილზე (377) აღმოჩნდა.

ატაცში მედლის გარეშე დარჩა ჩხეიძე (169). გიორგიმ შედეგი აკვრაში გამოასწორა და 203 კილოგრამით მესამეზე გავიდა. საერთო ჩათვლაში (372 კგ.) ჩხეიძეს ბრინჯაოს მედალი ერგო.

20 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში რეზი დავითაძემ საბოლოოდ 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა. დავითაძე მეორე იყო ატაცში 157 კილოგრამით და მეოთხე აკვრაში (183). ორჭიდში სპორტსმენი მეორე ადგილზე გავიდა (340).

შოთა მიშველიძემ (62 კგ) 129 კილოგრამით ატაცში ოქრო კი მოიგო, მაგრამ აკვრაში ვერ ივარგა და 269 (129+140) კილოგრამით ორჭიდში მესამე ადგილზე გავიდა.

ამავე წონაში რამინ შამილიშვილი აკვრაში მესამე ადგილზე გავიდა, ატაცში – მეხუთეზე და ორჭიდში იმდენივე დაუგროვდა, რაც მიშველაძეს – 269 (124+145), მაგრამ უფრო მსუბუქი აღმოჩნდა თანამემამულეზე და ორჭიდში ვერცხლის მედალი ერგო.

ასევე 20-წლამდელებში ატაცში და ორჭიდში ბრინჯაოს მედალი აიღო გოდერძი ბერდელიძემ. მისი შედეგი 263 (121+142) კილოგრამი იყო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. ძველინდური ეპოსი; 6. ავსტრიის დაპყრობის ჰიტლერული გეგმა; 8. ... ყანთელი; 10. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 11. სოფელი ფშავში; 13. სპორტული საქონლის ფირმა; 16. კომპიუტერული პროგრამა; 18. დაფქვის სანაცვლო სარგებელი მეწისქვილეს; 19. რაიმე მოქმედების თავისებური წესი; 21. ლაშა ბუღაძის მინიპიესა; 22. საზღვაო ბრძოლის ძველებური ხერხი; 23. ბოსტნეული მცენარე გამსხვილებული ფესვით.

**შვეულად:** 1. თათრებისა და ბაშკირების სახალხო დღესასწაული; 2. ფრანგული ავტომარკა; 3. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქართლში; 4. ფრანგული საბრძოლო თვითმფრინავი; 7. შოკოლადის ხე; 9. თერგის მარცხენა შენაკადი; 12. ზოგი შემოქმედის გამოგონილი გვარი და სახელი; 14. წავისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. დამკვრელი, მოცეკვავე ან მომღერალი (ძვ.); 17. საუბრის ფორმით დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოები; 20. აეროპორტი პარიზში.


ლურჯი წითელი ყვითელი შავი